სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა".
იოსებ ნონეშვილი

● №5 (4599) ● 22 დეკემბერი ● 2021 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1.30 ლარი

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ნომრის სტუმარია 67-ე სკოლა

„კოვიდი" დაამარცხეს - სასიხარულო შედეგები სახეზეა



ჯერ დირექტორმა დაჯაბნა ვერაგი მტერი, მერე პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და სკოლის ყველა მუშაკმა ივაჟკაცეს! წარმატებით წარიმართა ჰიბრიდული სწავლება. მისაბაძია დირექციისა და პედკოლექტივის თანამშრომლობა, საქმის სიყვარული. ეს იმიტომ, რომ სკოლას სათავეში უდგას ერუდირებული დირექტორი **ნანა ჟორჟოლიანი**. იგი დიდი პასუხისმგებლობით უდგება საქმეს. ეს გამოცდილება და სიკეთე მან 216-ე სკოლიდან გადმოიტანა და დანერგა. იმ სკოლაში ჩინებული ხელმძღვანელი იყო, აქ კიდევ უკეთესია. მას მხარში უდგას ასევე ბრწყინვალე პროფესიონალი მოადგილე **იზა ზარანდია**.

ნანა ჟორჟოლიანი ჩვენი ას წელს მიღწეული მასწავლებელთა გაზეთის დიდი თანამდგომი და მეგობარია. ამისთვის დიდი მადლობა მას!

შესანიშნავი წერილი გამოგვიგზავნა, რომელსაც უკომენტაროდ გთავაზობთ.

* * *

სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე თადარიგი დაიჭირა და ინფიცირების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების, წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის სერვისები გააუმჯობესა. ასევე, კრიტიკული აღჭურვილობისა და მარაგების უზრუნველყოფის,კოვიდ 19-ის პრევენციის და მართვისთვის საჭირო ჯანდაცვის სერვისების გაძლიერების მიზნით,გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა: ახალი მერხები,სკამები,დაფები .განათლებისა დამეცნიერების სამინისტროს მიერ მოხდა გარე სპორტული მოედანის სრული რეაბილიტაცია. სკოლაში გამართულად მუშაობს კომპიუტერული ლაბორატორია.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, პრევენციის მნიშვნელოვანი მექანიზმებისა და ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, ჩვენი სკოლა ყველაფერს აკეთებს, რათა მომავალმა თაობამ ნაკლებად განიცადოს არსებული საფრთხეები და გაუმკლავდეს კოვიდ პრობლემებს.

2021-2022 სასწავლო წელს გაიხსნა ორი პირველი კლასი. სკოლაში გვაქვს მატება, ორი მასწავლებლის სახით მივიღეთ ისტ-ის მასწავლებელი- **ნუკრი ებრალიძე** და სპორტის მასწავლებელი - **თამარ ყაზარაშვილი**.

სსსმ ორი მოსწავლისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინალურ ჯგუფთან შეთანხმებით სკოლამ უზრუნველყო ორი ასისტენტის დანიშვნა: **სალომე ჯანელიძე** და **ელენე ფეიქრიშვილი.**

საზოგადოებრივ- მეცნიერებათა კათედრამ ხელოვნებისა და სპორტის კათედრასთან ერთად 2021 წლის 8 დეკემბერს, სკოლაში მოიწვია ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და „ცეკვავენ ვარსკვლავების" წარმატებული მონაწილე **სალომე ფაჟავა**.

ამით ჩვენ გვინდა მომავალმა თაობამ გაიცნოს ჩვენი სკოლის ნიჭიერი კურსდამთავრებულები და ასევე, წავახალისოთ ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა.

ჩვენი კათედრა მართავს პერიოდულ

შეხვედრებს წიგნის კლუბში.

ვმონაწილეობთ **„ნიკო კეცხოველის"** კონკურსში. ვაგროვებთ ბავშვთა სახლისთვის ტანსაცმელს.ვაპირებთ და ვემზადებით საახალწლოდ გამოფენა-გაყიდვის მოსაწყობად რუსთაველზე, რათა დავეხმაროთ ბავშვთა სახლს ფინანსურად.

შევქმენით სამოქალაქო განათლების ბლოგი, სადაც განთავსებულია სკოლის აქტივობები. სამოქალაქო განათლების მასწავლებელია **გიორგი სახელაშვილი**.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კინგსის ოლიმპიადებში. მე-7ა კლასის მოსწავლე **ბექა ბოკელავაძე** ორჯერ გახდა ოქროს მედლის მფლობელი (ქართულ ენასა და ლიტერატურაში ლიგის გამარჯვებული) ბექა ბოკელავაძე. გასული სასწავლო წლის ოქროს მედლის მფლობელია მე-5ა კლასელი **თამარ წამალაიძე**.

შარშან სკოლას ჰყავდა 7 მედალოსანი. გასულ სასწავლო წელს დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. დაწყებით კლასებში: **„შემოდგომის ფერები"**, საახალწლო ონლაინ ზეიმი, **„საჩუქარი დედას"**, **„საალდგომო გამოფენა"**, კალიგრაფიის კონკურსი. პედაგოგები: **ზეინაბ არაბული, ლია სადრაძე, ლელა ლომიძე, თამარ ცინცაძე, მარიამ აფხაიძე, ეკა ფეიქრიშვილი, მარიამ ლებანიძე** ამ ღონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ.

მე-8ა კლასში დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: **„შემოდგომა ჩემს ქალაქში", 9 აპრილი მოუშუშებელი ტკივილი, 22 აპრილი-დედამიწის დღეა, იზრუნე გარემოზე.** პედაგოგ **ცირა ნაყეურის** ხელმძღვანელობით.

მე-11ბ კლასელებმა თავი ისახელეს. მათ განახორციელეს პროექტი: **„არა ძალადობას"**, ესეები: **„ჩემი მომავალი პროფესია".**

საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე; **„წიგნების პრეზენტაცია"** წარმატებული მოსწავლეები დასაჩუქრდნენ წიგნებით (პედაგოგი **მერი ცარციძე**).

მე-6ბ კლასელებმა ბუკლეტები დაამზადეს, როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს ქვეყნებში.

შესრულდა პროექტი დავით აღმაშენებლის თემასთან დაკავშირებით: **„ძლევაი საკვირველი".** პედაგოგ **იზა ღვინჯილიას** ხელმძღვანელობით.

საბაზო საფეხურზე გვინდა დავნერგოთ სადამრიგებლო საათი,კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის უნარების განვითარების მიზნით. **კათედრათა შორის ინტეგრაცია.**

მეტად გავზრდით **მშობელთა ჩართულობას** სასკოლო ცხოვრებაში.

კარგად გვესმის სკოლის თვითმართველობის მნიშვნელოვანი როლი სკოლის განვითარებასა და მოსწავლეთა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

სკოლაში სწავლობს 28 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. მათთან მონდომებით მუშაობენ უფროსი სპეციალური მასწავლებლები: **ნანი ნათელაშვილი, ნინო ზედგენიძე, ნატალია მჭედლიშვილი.** ფსიქოლოგი: **ნათია სიხარულიძე** და ორი ასისტენტი: **სალომე ჯანელიძე** და **ელენე ფეიქრიშვილი.**



გვინდა, რაც შეიძლება მეტმა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში და ეტალონის სასწავლო ტურში.

ვაპირებთ, უფრო შედეგიანი გავხადოთ პროცესი, ამის მიღწევა შესაძლებელია კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, სწავლების ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით,რასაც **„ახალი სკოლის"** მოდელი ითვალისწინებს. ამით სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის უფრო საინტერესო, ხალისიანი იქნება, რაც აისახება ოლიმპიადებისა და კონკურსების შედეგზეც.

ნანა ჟორჟოლიანი,
სკოლის დირექტორი

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

P. S. რედაქტორის მინაწერი: ამ ურთულეს პირობებში, როცა ზოგიერთი სკოლა მინიმუმ მოთხოვნებსაც ვერ უძლებს, 67-ე სკოლელთა შედეგები, მართლაც, **გმირობის ტოლფასია.** აფერუმ, თქვენი საქმისადმი სიყვარულს, თავდადებას. **დაგელოცოთ მარჯვენა! თქვენი კოლეგა გილოცავთ შობა-ახალ წელს. მშვიდობიანი, უსაფრთხო ყოფილიყოს იგი, ვერაგი „კოვიდის" დამარცხების წელი გამხდარიყოს!**



გილოცავთ!

გილოცავ! გილოცავ! ახალ წელს გილოცავ,
ვისაც კი სამშობლო გიყვარს...
გელა ხარ! თინა ხარ! კახა ხარ!
ეს სულერთია — ვინ ხარ

ახალი წელია... თოვლიც გვესალმება ციდან...
— ცრემლები?! — ცრემლებზე ბოდიში!
— ღიმილი? — ღიმილი — რამდენიც გინდა...

ბავშვებო! თქვენსავით მეც ვიყავ მოსწავლე...
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?
ამიტომ ერთმანეთს, ამიტომ ერთმანეთს
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა...

გვიყვარდეს სამშობლო, სიმართლე გვიყვარდეს,
გვიყვარდეს, გვიყვარდეს წიგნი...
რაც უნდა ისურვო, რაც უნდა ინატრო, —
ესაა ყველაზე დიდი.

მუხრან მაჭავარიანი

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

173-ე სკოლის დიდი საქმეები

„მძიმეა ქუდი მონომახისა“



ამ კალამბურს, რომელიც სათაურად გამოვიტანე, ისტორიის მასწავლებლები უკეთ განმარტავენ, თუმცა მეც შევეცდები. დედაქალაქში ერთ-ერთი ყველაზე დიდია **სკოლა 173-ე,** არა მარტო მოსწავლეთა კონტიგენტით, პედაგოგთა რაოდენობით, არამედ გაკეთებული საქმეებითაც.

მძიმე ტვირთი აწევს დიდ დირექტორს, ქალბატონ **ლია თუშერს**, რომელსაც კარგა ხანია ვიცნობ, როგორც გამოჩენილ მოღვაწეს და პატრიოტს. მართლაც დიდია მისი ამაგი მარნეულის აზერბაიჯანულ სკოლაში სხვა ეროვნების მოსწავლეებისათვის ქართულის სწავლების დარგში. იქ სკოლის დირექტორიც იყო, პედაგოგიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პატრიოტული ღვაწლი ჯეროვნად ჯერ არ დაფასებულა.

დღეს, ამ უზარმაზარ სკოლაში მას ტვირთს უმსუბუქებენ ძლიერი პედკოლექტივი, ასევე შემოქმედი, უნარიანი, ენერგიული მოადგილეები: **მანანა გორგასლიძე** და **ბონდო დავითური.**

მკითხველს შევახსენებ: აქ გადმოსვლამდე ქალბატონი მანანა წარმატებით უძღვებოდა მე-12 სკოლას.

შესავალი გამიგრძელდა. ახლა, ამ გაუსაძლისად რთულ პანდემიურ ვითარებაში ფრაგმენტულად გთავაზობთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეპიზოდებს.

* * *

სასწავლო პროცესი სკოლაში დაიწყო და მიმდინარეობს კოვიდ პანდემიის პირობებში. სკოლა სრულად იცავს რეგულაციებს. მიუხედავად ამისა, მაინც არის შემთხვევები ონლაინ რეჟიმში ზოგიერთი კლასის ჩართვის.

სასწავლო პროცესი ძირითადში მიმდინარეობს დასწრებული რეჟიმით. თუმცა, დაფიქსირებული კოვიდ ინფიცირების ფაქტებიდან გამომდინარე არის შემთხვევები ონლაინ რეჟიმში ზოგიერთი კლასის ჩართვისა.

საგნობრივი კათედრები უნარიანად უძღვებიან სასწავლო პროცესს მეთოდიკური კუთხით. მათ ხელმძღვანელობენ: დაწყებითების კათედრას - **ქეთევანი გზირიშვილი**; ქართული ენისას - **ნინო გოგრიჭიანი**; მათემატიკისას - **ლია გელაძე**; საზოგადოებრივი მეცნიერებათას - **თამარ დედანაშილი**; უცხო ენებისას - **ნატო ქვრივიშვილი**; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათას - **ესმა გეგეშიძე**; ესთეტიკისას - **ნონა ჩომახიძე**; სპორტისას - **ლია ტატანაშვილი**.

ზემოთ ვთქვით: სკოლა ძლიერი კადრებით არის დაკომპლექტებულიო. ჰყავს მენტორი - 1, წამყვანი - 18, უფროსი - 89 მასწავლებელი.

სკოლაში ფუნქციონირებს 9 პირველი კლასი. პედაგოგები არიან: 1/ა - **მადლენა ასლანიკაშილი,** 1/ბ - **თამარ შაღაშვილი**, 1/გ - **ლიანა გელოვანი**, 1/დ - **თამარ ნოზაძე**, 1/ე - **ლენა გურიელიძე**, 1/ვ - **თამარი მაისურაძე**, 1/ზ - **ხათუნა ღამბაშიძე**, 1/თ - **თამარ კვირიკაშვილი**, 1/ი - **ნანა ზურებიანი.**

სკოლას ჰყავს 8 მეოთხე კლასი. დამრიგებლები არიან: 4/ა - **ხათუნა ღამბაშიძე**, 4/ბ - **მაია მამულაშვილი,** 4/გ - **თამარი თევდორაშვილი**, 4/დ - **ნინო ამანათიძე**, 4/ე - **ირმა გოგოლაძე**, 4/ვ - **ეკა მაღრაძე**, 4/ზ - **ლალი ჩიკვილაძე**, 4/თ - **ნინო ზადიშილი**.

2020 — 2021 სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა 29 მედალოსანი. 23 ოქროსა და 6 ვერცხლის მფლობელია.

ამჟამად, ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში.

კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ადგილის სიმცირის გამო ვერ ვახერხებთ. თუმცა, ამ ფრაგმენტული სტატისტიკის უკანაც იკვეთება დიდი პანორამა პედკოლექტივის, დირექციის, ყველა მუშაკის თავაუღებელი შრომისა.

გილოცავთ კოლეგებო, შობა-ახალ წელს, ოპტიმისტური განწყობილების შემქმნელი ყოფილიყოს იგი!

ბორის მიშველაძე,
პედ.მეცნიერებათა დოქტორი

გაზეთის სტუმარი - 92 სკოლა

პროფესიონალიზმის, თავდადების, თანადგომის ნაყოფი

გარეუბნის ეს სკოლა ბევრ ცენტრის სკოლას არაფრით ჩამოუვარდება. აქ თავდადებული მოღვაწეობის, თანადგომის განცდა სუფევს. ამ გაუსაძლის ვითარებაში არა მარტო მოთხოვნათა მინიმუმს ასრულებენ, არამედ, მაღალ შედეგებსაც აღწევენ. ეს იმიტომ, რომ ძლიერ პედკოლექტივს მაღალი რანგის პროფესიონალი შემოქმედი მეცნიერი, განათლების დოქტორი **მიხეილ ჩიქოვანი** უძღვება. ასევე მას მხარს გამოცდილი მოადგილე **მზევი ცომაია** უმშვენებს.

საუბარს სკოლიდან მიღებული ინფორმაციით წარვმართავთ.

* * *

პანდემიამ დიდი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. გრიპის ვირუსმა, გვაიძულა სწავლების ალტერნატიული გზების ძიება. თავიდან ძნელი იყო მუშაობის პროცესში, ყველა მასწავლებლის და მოსწავლის ჩართვა, მაგრამ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი და ონლაინ სწავლებამ სხვა უნარები შეგვძინა.

ახალ სასწავლო წელს დავბრუნდით სკოლაში იმედიანი განწყობილებით. შევიგრძენით რაოდენ დიდი ბედნიერებაა საკლასო ოთახებში ყოფნა, ჩვენც და ბავშვებსაც როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი, საკლასო ოთახი, ცარცი, დაფა. მართალია, ზოგჯერ რომელიმე კლასი იკეტება წერტილოვნად, მაგრამ ვმუშაობთ და ვცდილობთ, რომ აღარ მოუწიოთ მოსწავლეებს ეკრანთან მიჯაჭვა.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 კათედრა, ხშირად ტარდება სხდომები, ამჟამად კათედრა მუშაობს პროექტზე გარემოს დაცვის კუთხით: **„დედამიწა ავადაა“.** ქართული ენა და ლიტერატურა - **დალი გოშუა**, მათემატიკა და ინფორმატიკა - **ნინო მარანელი**, უცხოური ენა (რუსული, ინგლისური, გერმანული) - **ინგა ლეფსვერიძე,** საზოგადოებრივი მეცნიერებები - **ხათუნა ჯვარაშვილი,** საბუნებისმეტყველო - **მაია ლიპარტელიანი,** დაწყებითი განათლება - **ნინო ჯიღაური**, სპორტი და ესთეტიკური აღზრდა - **თეა ჯაჭვაძე**, სადამრიგებლო კათედრა - **მაგული ცხადაძე.**

წელს მივიღეთ 3 პირველი კლასი. გვყავს 3 ახალი პედაგოგი. სპეცპედაგოგი და ფსიქოლოგი. ვამაყობთ, რომ ხელს ვუწყობთ ახალგაზრდებს და ვეყრდნობით ასაკიან დამსახურებულ პედაგოგებს. ასე რომ, ჩვენს სკოლაში ახალი და ძველი თაობა ერთმანეთს ავსებს და ახალისებს. წელს ჩვენს პედკოლექტივს შემოუერთდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ექსპერტი დაწყებით საფეხურზე **სოფიო თავაძე**, რომელმაც ჩაატარა ღია გაკვეთილი იაკობ გოგებაშვილის იავნანამ რა ჰქმნა?! ტელერეპორტაჟი ქეთოს მოტაცების შესახებ.

მიუხედავად პანდემიისა, მაინც ვახერხებთ, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა განვაახლოთ, წელს ოთხი მე-5 კლასი გვყავს და ოთხივეს განსაზღვრული საკლასო ოთახები და საკლასო ავეჯი დავახვედრეთ, ასევე რემონტდება სპორტული დარბაზები და გვაქვს ახალი კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. (ფოტო 4)

მიუხედავად მძიმე სასწავლო წლისა, გვყავდა 2 ვერცხლის და ორი ოქროს მედალოსანი. ბავშვები იღებდნენ **„ევერესტის“, „კინგსის“** ოლიმპიადებში მონაწილეობას.

წელს ოქროს მედლის 9 კანდიდატი გვყავს და ვნახოთ როგორ დავამთავრებთ სასწავლო წელს. ოპტიმისტური განწყობილებით ვხვდებით შობა-ახალ წელს.

ოპტიმიზმი, ჯანმრთელობა, წარმატებები ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, 92-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
საქ. დამსახ. ჟურნალისტი.

152-ე სკოლა მუდამ მოწინავეა

ყველა პრობლემა დაძლევადია სიყვარულით, მხარში დგომით

თამარ გურაშვილი - სკოლის დირექტორი

ამ სკოლას კარგად ვიცნობთ, მუდამ მოწინავე და წარმატებულია. ეს იმიტომ, რომ კარგა ხანია ძლიერ პედკოლექტივს გამობრძმედილი დირექტორი **თამარ გურაშვილი** უძღვება.

მინდოდა უფრო ვრცელი შესავლის გაკეთება, მაგრამ ისეთი კომპეტენტური წერილი მივიღეთ რედაქციაში, რომ ხელი ავიღე განზრახვაზე.

წამყვანი პედაგოგი ირმა პაპუაშვილი

* * *

ყველამ, დიდმა და პატარამ ვისწავლეთ პანდემიასთან თანაცხოვრებით მუშაობა, დაგვაფიქრა რამდენად საჭიროა პასუხისმგებლობა, თანადგომა, სიყვარული და მოფრთხილება. ყველა პრობლემა დაძლევადია ერთმანეთის გვერდში დგომით.

გავატარეთ ყველა საჭირო ღონისძიება, რასაც პანდემიის პირობებში რეკომენდაციები და რეგულაციები ითვალისწინებდა. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, კლასებში მერხები განლაგდა ერთმეტრიანი დისტანციით. მოსწავლეთა ნაკადის განტვირთვის მიზნით სწავლება ორ ცვლაში დაიგეგმა.

მშობელს მიეცა საშუალება აირჩიოს სწავლების ფორმატი; შესაბამისად სკოლაში არის დისტანციურ -ჰიბრიდული სწავლება (72 % დასწრებით და 28 % ონლაინ რეჟიმზე) სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა მაქსიმალურია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადმოგვეცა ყველა საჭირო რესურსი; სადეზინფექციო საშუალებები, დისტანციური თერმომეტრები, დეზობარიერები, პირბადეები, სკოლას აქვს საჭირო მარაგი სანიტ-ჰიგიენური საშუალებების, მოწყობილია საიზოლაციო კუთხე და ოთახი. ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სკოლაში ტარდება თანამშრომელთა ყოველკვირეული ტესტირება, რომლის 88% ორჯერ ვაქცინირებულია. სისტემატურად ტარდება საუბრები კოვიდ -რეკომენდაციების გასაცნობად. მოსწავლეები და ასევე ყველა თანამშრომელი ატარებს პირბადეს, ტარდება თერმოსკრინინგი, იცავენ დისტანციას, იმუშავებენ ხელებს სადეზინფექციო ხსნარით, გაძლიერებულია მასწავლებელთა მორიგეობა. თავდაუზოგავად მუშაობენ სკოლის მანდატურები: **ეთერ ბერუაშვილი** და **ნათია დიღმელაშვილი**. მათ მადლობა მინდა გადავუხადო აქტიური თანამშრომლობისათვის.

მ ი თ ი თ ე ბ უ ლ საათებში სველი წერტილები, კლასები, ინვენტარი, დერეფნები მუშავდება შესაბამისი ხსნარით ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში.

მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ რთული პანდემიური სიტუაციისა, სკოლაში იგრძნობა მშვიდი ატმოსფერო, ზრუნვა და თანადგომა. პროფესიის სიყვარული, სიახლეებისთვის მზაობა.

მეორე წელია ჩვენი სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში, მასწავლებლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები, გვყავს საგნობრივი ექსპერტები, რომლებიც ეხმარებიან მასწავლებლებს კომპლექსური დავალებების დაგეგმვაში. ასეთი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებით აზროვნებასა და სკოლაში მშობელთა ჩართულობას.

სკოლაში სულ 51 პედაგოგია. ყველა სერთიფიცირებულია, ამათგან 4 წამყვანია და 47 კი უფროსის სტატუსის მქონე.

თამარ ციხიშვილი - ექიმი

წამყვანი მასწავლებელი - თეა გოჩიტაშვილი

ვცდილობთ შეზღუდულ დროში განვახორციელოთ ყველა აქტივობა. მიუხედავად დიდი სირთულეებისა, პედაგოგთა პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ გასულ სასწავლო წელს 7 ოქროს მედალოსანი მოსწავლე გვყავდა: **ჯღარკავა მამუკა, ლოცულაშვილი ელენე, ქოქიაშვილი ლალი, ღლონტი ლუკა, ქევხიშვილი ნათია, ნანო არჩემაშვილი, ანა მოკვერაშვილი.** კურსადთავრებულების 99%



ნანა ლეშკაშელი, იზოლდი ჩუთლაშვილი

ჩაირიცხა სხვადასხვა უნივერსიტეტში და მოიპოვეს დაფინანსება.

საერთო წარმატების მისაღწევად თავდაუზოგავად შრომობენ დირექტორის მოადგილეები: **ნანა ლეშკაშელი** და **იზოლდი ჩუთლაშვილი** და ასევე კათედრის ხელმძღვანელები: **ლეილა გილიგაშვილი, ლელა გიგაური, ნინო გოგოლაძე, გვანცა ჩიტიშვილი, მანანა ციხისელი, ინეზა დალაქიშვილი, იამზე მიქატაძე**

ჩართული ვართ სხვადასხვა სახის პროექტებში, კონკურსები. ამ ეტაპზე ხორციელდება პროექტი **„დედამიწა ჩვენი სახლია“** ამასთან დაკავშირებით სკოლაში ტარდება მრავალფეროვანი აქტივობები, მაგრამ პანდემიიდან გამომდინარე, ძირითადად სასწავლო თუ აღმზრდელობითი ღონისძიებები ტარდება ონლაინ სივრცეში. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩართულია როგორც ეროვნულ, ასევე სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში და აღწევენ წარმატებებს. გასულ სასწავლო წელს სკოლა **კინგსის** ოლიმპიადის შედეგების მიხედვით მოხვდა საუკეთესო ოცეულში, ხოლო აღებული დიპლომების რაოდენობით საუკეთესო ათეულში. წელსაც გვყავს გამარჯვებული მოსწავლეები: **თეკლა ზურაშვილი, კესო ბაბლიშვილი, გ. შაქარიშვილი** და სხვა

სკოლა კონკურენტუნარიანი და მზარდია. დღეს გვყავს 977 მოსწავლე. გასულ სასწავლო წელს სკოლა 60 ახალგაზრდამ დაამთავრა. წელს პირველ კლასში მივიღეთ 116 მოსწავლე. სკოლაში 21 სსსმ მოსწავლეა. აქედან ორი - შშმ, რომელთანაც სამი სპეციალური პედაგოგი და ორი ასისტენტი მუშაობს. რესურსოთახში და სველ წერტილებში შექმნილია ადაპტირებული გარემო, უზრუნველყოფილნი ვართ ყველა საჭირო მომსახურებით.

სკოლის შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას და სამინისტროს გადაწყვეტილებით მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება 1300 მოსწავლეზე გათვლილი ახალი სასწავლო კორპუსის აშენება. ასე რომ, ყველა პირობა იქნება, რომ, თავი ვიგრძნოთ კომფორტულ გარემოში

დიდი სურვილი გვაქვს, საქართველოში და მთელ მსოფლიოში იყოს მშვიდობა და ჯანმრთელობა, ვხედავდეთ მომღიმარ ადამიანებს, სკოლაში იგრძნობოდეს ხალისიანი სასწავლო განწყობილება.

წამყვანი პედაგოგი ლილი დავითური

თამარ გურაშვილი - სკოლის დირექტორი

რედაქციის მინაწერი: ამ სახელოვან კოლექტივს რედაქცია ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს, ჯანმრთელობას, მხნეობას, იმედიან განწყობილებას, კორონა ვირუსის დამარცხებას უსურვებს.

22-ე სკოლაში სწავლა რეგულაციების დაცვით მიმდინარეობს

დაუღალავი შრომით მიღწეული წარმატება

მას შემდეგ, რაც კორონა ვირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოცხადდა, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. მოსწავლეთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის პროცესი, სკოლის დირექტორის **რუსუდან ზედაშიძისა** და პროფესიონალი პედაგოგიური კოლექტივის წყალობით, წარმატებით გადალახეს თბილისის **22-ე** საჯარო სკოლაში, სადაც სწავლა **შერეული მეთოდით** მიმდინარეობს. მოსწავლეთა მშობლებს საშუალება აქვთ დარეგისტრირდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე, ან აირჩიონ პირისპირ სწავლის მეთოდი. ასევე დისტანციურ სწავლებაზე გადადის კლასი, სადაც დაფიქსირდება კოვიდის შემთხვევა. დისტანციური სწავლების მოდელიდან პირისპირ სწავლების მოდელზე გადასვლისას, სკოლის მიზანია, თითოეულ მოსწავლეს მისცეს საშუალება მიიღოს განათლება თანასწორად და, რომ დაცული იყოს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის ყველა თანამშრომლის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა;

პრევენციისა და ახალი შემთხვევების დროული გამოვლენის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, **22-ე** სკოლის პერსონალს კვირაში ერთხელ უტარდება კოვიდ-19-ის ტესტირება. მასწავლებელთა უმრავლესობა ვაქცინირებულია, გარდა იმ პედაგოგებისა, რომლებსაც ბოლო სამი თვის განმავლობაში გადატანილი აქვთ კოვიდი; სკოლა უზრუნველყოფილია სპეციალური აღჭურვილობებით: დეზობარიერებით და დეზობარიერის სითხეებით, იატაკის მოვლისა და ზედაპირების დასამუშავებელი ხსნარებით, ხელის სადეზინფექციო სითხეების, თერმომეტრებისა და პირბადეების მარაგით; მოსწავლეთა მიღება და გაშვება წარმოებს სამი შესასვლელი კარით. შენობის ყველა სართულზე, განთავსებულია დისპენსერები სადეზინფექციო ხსნარით, დერეფნებსა და საკლასო ოთახებში, ჰიგიენური ნარჩენებისთვის დგას დახურული ურნები, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით.

სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, ცხელებიანი მოსწავლეებისთვის კი ყველა წესის დაცვით, მოწყობილია საიზოლაციო. მოსწავლეებს ემსახურებათ კვალიფიციური ექიმი.

სკოლის შენობაში მაქსიმალურად შეზღუდულია ვიზიტორთა რაოდენობა. აუცილებლობის შემთხვევაში კი დაიშვებიან მხოლოდ პირბადით, თერმოსკრინინგის, ხელის ჰიგიენის ჩატარებისა და დეზობარიერის გავლის შემდეგ. მშობლებთან ურთიერთობა ძირითადად დისტანციურად ხდება, მათ ყველა ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებელი. მშობელს აქვს არჩევანის უფლება, შვილი დატოვოს ონლაინ სწავლების რეჟიმში, ან გამოუშვას სკოლაში;

ყველა მოსწავლე პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით, საგაკვეთილო პროცესისა და დასვენების დროს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე. მოსწავლეს, რომელსაც აქვს პირბადის ტარებისგან გასათავისუფლებლად სათანადო სამედიცინო ჩვენება – შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში, სკოლის დირექტორის ნებართვით, გათავისუფლებული იქნება აღნიშნული ვალდებულებისგან. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის პირბადის ტარებისგან გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი (შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით) ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

ყველა კლასისათვის გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთია, შესვენებები 5 წუთი, არის ერთი 10 წუთიანი შესვენება; საკლასო ოთახებში მაგიდები განლაგებულია 1 მეტრიანი შუალედის დაცვით, მერხების მდებარეობა მონიშნულია სტიკერების საშუალებით;

მოწესრიგებული სველი წერტილების (თხევადი საპონი, ტუალეტის და ხელის გასამშრალებელი ქაღალდი) სადეზინფექციო საშუალებებით დალაგება-დასუფთავება, ყოველი შესვენების შემდეგ ხდება; ხოლო სკოლის შენობის, საკლასო ოთახების, დერეფნების და საერთო სივრცეების – ყოველდღიურად;

სკოლაში, კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით, დასაშვებია სასკოლო წრეების და იჯარების ფუნქციონირება;

თუ მოსწავლეს, ან მისი ოჯახის წევრს, დაუდასტურდება კოვიდი, ან არის კონტაქტი, 14 დღის განმავლობაში სკოლაში ვერ გამოცხადდება. ასეთ შემთხვევაში სასურველია დარეგისტრირდეს და გადავიდეს ონლაინ სწავლებაზე, რომ სასწავლო პროცესს არ ჩამორჩეს;

ყველა მშობელი ვალდებულია დაიცვას რეკომენდაციები: სკოლაში წასვლამდე გააკონტროლოს მოსწავლის ტემპერატურა და 37 გრადუსის ან მეტის დაფიქსირების, ან კოვიდინფიცირებულთან კონტაქტის შემთხვევაში, არ გაუშვას სკოლაში; სკოლაში ცხელების დაფიქსირების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე კი, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მოსწავლის სკოლიდან წაყვანა.

სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში ყოველთვის ქალბატონი რუსუდანის გვერდითაა დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში **მერი ოსეფაშვილი**. სისტემატურად მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე: ჰყავთ მენტორი მასწავლებელი **ნესტან კუპრავა** და წამყვანი პედაგოგები: **ნანა გეგია, ხათუნა ჩიტიშვილი, მაია ბერიძე, მაყვალა ალელიშვილი, ინგა ურუშაძე, რუსუდან ზედაშიძე**. გასულ სასწავლო წელს 10 მედალოსანი ჰყავდათ, აქედან **6 ოქროსა** და **4 – ვერცხლის.**

ჩართულები არიან **„ახალი სკოლის“** მოდელში, რომლის პროექტია **„სკოლა – ღია სივრცე კულტურული მრავალფეროვნებისთვის.“** (დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში).

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ **22-ე** სკოლა ჩასმულია **მსოფლიო ბანკის** პროექტში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის.

ნათია გურგენიძე

თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნათა შესაბამისად

პროფესიული განათლების განვითარების მომავალი

სპექტრში შვიდი ფერია. ეზოტერიკაში კი 7 საკრალური რიცხვია, ადამიანის ბედ-იღბალზეც რომ ახდენს გავლენას.

სიმბოლურია, რომ საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე კოლეჯს სწორედ „სპექტრი“ ჰქვია.

როგორ ზეგავლენას ახდენს იგი კოლეჯში მოსული ახალგაზრდების ბედზე; როგორ გზასავალზე გაჰყავს ისინი და რა საფუძველზე მკვიდრდება პროფესიონალთა მომზადების რთული და საპატიო მისია?

ამ და სხვა საკითხებზე მოკლედ გვესაუბრება ზოგადად, განათლების დარგისა და, კერძოდ, პროფესიული განათლების გამოცდილი მუშაკი, კოლეჯ **„სპექტრის“** დირექტორი, ბატონი **მათე ტაკიძე.**

- გთხოვთ, მოკლედ დაახასიათოთ კოლეჯი „სპექტრი“.

- კოლეჯი „სპექტრი“ მრავალპროფილიანი სასწავლებელია, რომელიც პროფესიულ პროგრამებს ინჟინერიისა და ხელოვნების მიმართულებით ახორციელებს. პროფესიათა უმრავლესობა, ძირითადად, სამშენებლო პროფილის სპეციალობათა აღორძინებასა და სრულყოფას ემსახურება, რაც, სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე კვალიფიციური მუშახელის მომზადებას ითვალისწინებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უცხოელი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით, სასწავლებლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სისტემატურად ახლდება, რაც კოლეჯის მუდმივ განვითარებას უწყობს ხელს. ამჟამად კოლეჯში ოცდაათზე მეტი ახალი სასწავლო პროგრამა ხორციელდება.

განსაკუთრებული მხარდამჭერია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების [GIZ] საქართველოს წარმომადგენლობა, რომლის ფინანსური მხარაჭერით სულ ახლახან კოლეჯ „სპექტრს“ გერმანული ფირმა „KRAFT”-ის შედუღების ახალი სიმულატორები გადაეცა.

სტუდენტთა პრაქტიკა/დასაქმების მხრივ კოლეჯი აქტიურად თანამშომლობს 100-ზე მეტ წარმატებულ კერძო კომპანიასთან; ჩვენი პარტნიორია რამდენიმე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაცია.

- სახელდობრ, რას სთავაზობთ მსურველებს, ვის შეუძლია მოგმართოთ?

- მსურველებს ვთავაზობთ სამშენებლო ინჟინერიასთან დაკავშირებულ გრძელვადიანსა და მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს. ჯამში, 19 მიმართულებით. ჩვენთან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლების მიღება შეუძლიათ ზდასრულებსა და საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდებს. 2021-2022 სასწავლო წელს დაინერგა ერთი კარგი სიახლე: წლევანდელიდან 9 კლასის განათლების მქონე პირებს საშუალება მიეცათ ინტეგრირებულ პროგრამაზე ისწავლონ სამი მიმართულებით: ელექტროობა, ჰაერის კონდიცირება და სახვითი ხელოვნება. ეს 3-წლიანი პროგრამები მათ საშუალებას აძლევს მიიღონ პროფესიული განათლება და კოლეჯშივე მიიღონ სრული ზოგადი განათლების ატესტატი.

- სავარაუდოდ, ასეთი პირობების გამო, სწავლის ბევრი მსურველი უნდა იყოს. რომელია ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობა?

- გასული ორი წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, გრძელვადიან პროგრამებზე საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებებზე წლიურად ჯამში 800-მდე მოქალაქე გახდა ჩვენი სტუდენტი. ძალიან მაღალია მოთხოვნა მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამაზე, რომელზეც ხშირად აკადემიური განათლების მქონენი მოგვმართავენ, რომელთაც სურთ აიმაღლონ სპეციალობაში პრაქტიკული კომპეტენციები ან თავი მოსინჯონ ახალ პროფესიაში. პროგრამის 2020-2021 წლების პრიორიტეტი გახლდათ Covid-19 პანდემიის პირობებში დაზარალებული მოქალაქეების მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადება შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებში. გასულ ორ წელიწადში პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამა, ჯამში, 800-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა.

კოლეჯში არსებული სპეციალობებიდან ამჟამად ყველაზე მოთხოვნადია ელექტროობა, 3D მოდელირება, ჰაერის კონდიცირება, შედუღება.

- ბიზნესთან კომუნიკაციის რა მეთოდები გაქვთ და რა სურს ბიზნესს დღეს პროფესიული განათლებისგან?

- კოლეჯის განვითარების საწინდარი, დიდწილად სწორედ ბიზნესის აქტიური მხარდაჭერაა. ჩვენს ინფრასტრუქტურულ განვითარებაში კერძო სექტორს დიდი კონტრიბუცია აქვს შეტანილი. ლაბორატორიების უმრავლესობა სწორედ ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით არის აღჭურვილი

თანამედროვე ტექნიკით. დუალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება „სპექტრის“ პრიორიტეტია. ჩვენი კარი ღიაა სამშენებლო ინჟინერიაში მოქმედი ყველა ბიზნესისათვის. მისასალმებელია, რომ მომართვიანობა და ნდობა ბიზნესის მხრიდან „სპექტრის“ მიმართ ყოველწლიურად მატულობს. ამას, დიდწილად, ჩვენს მუდმივ პარტნიორებთან პოზიტიური გამოცდილება განაპირობებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, ფეხდაფეხ მივყვეთ ბიზნესის მოთხოვნებს, მასთან ერთად გავაანალიზოთ ჩვენი უპირატესობები და სუსტი მხარეები, რათა გავზარდოთ სწავლების ხარისხი და კონკურენტუნარიანობა კურსდამთავრებულების დასაქმების ბაზარზე. ბიზნესს, დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად, კვალიფიციური კადრები სურს. მოთხოვნები კი ჩვენს სფეროში ძალიან სწრაფად იცვლება. ვცდილობთ, ყოველწლიურად გადავეწყოთ, ბაზრის დინამიკას რომ არ ჩამოვრჩეთ. ვფიქრობ, სწორეს ბიზნეს სექტორთან მდგრად თანამშრომლობაშია პროფესიული განათლების განვითარების მომავალი.

ეკატერინე გურგენიძე

კერძო სკოლათა შორის გამორჩეული

ბევრჯერ ვყოფილვარ „ალმასში“ - დღითიდღე უკეთესია

ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესოა კერძო სკოლა **„ალმასი“** დედაქალაქის ამ ტიპის სასწავლებლებს შორის, ამაში მე, დამსახურებული პედაგოგი გარწმუნებთ.

რატომ არის მოწინავე? იმიტომ რომ ათეული წლებია მას საგანმანათლებლო სივრცეში მეტად სახელოვანი, დიდი დირექტორი **ზურაბ ბიწაძე** უძღვება.

მე და ბატონი ზურაბი მე-20 საუკუნიდან მოვდივართ. მარტო ჩემი კი არა, იგი პედაგოგიური საზოგადოების მიერ იმ დიდ დირექტორებს შორის მოიაზრება, როგორიც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე, აკაკი კივილაძე, დემურ კალანდაძე, ლევან ჩიქვანაია, ალექსანდრე ჯავახიშვილი, მიხეილ მინდაძე** და სხვები.

მერე რა, რომ დღეს არავინ ფასდება, ჩვენ მაინც არ უნდა ვთქვათ? ბატონი **ზურაბ ბიწაძე** მე-8 სკოლაში დიდხანს იღვწოდა, როგორც ფიზიკის მასწავლებელთა შორის გამორჩეული და საუკეთესო. იყო საჯარო სკოლების ბრწყინვალე დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ცნობილი მეთოდისტი, გლდანის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე... ყველა რეგალიას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ, როგორც გრიშაშვილი იტყოდა: „მე შენი ქება არ მომწყინდება“ ბატონო ზურაბ, რადგან ამას ჭეშმარიტად იმსახურებ.

ამ თვალსაზრისის დასტურად „ალმასიდან“ გამოგზავნილი ინფორმაციაც კმარა.

* * *

მიმდინარე სასწავლო წელი, მიუხედავად პანდემიისა, სკოლამ დაიწყო შუფერხებლად, თუმცა მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძნობლად შემცირდა.

კოვიდ ვირუსის გამო,რამდენიმე ხნით მოგვიწია დინსტანციურ სწავლებაზე გადასვლა.

სკოლამ ძირითადი კადრები შეინარჩუნა, თუმცა ხელფასები შეუმცირდათ.მოსწავლეთა შემცირების გამო,გვყავს ახალი, პერსპექტიული მასწავლებლები: **ნინო ხვედელიძე** და **ანნა კაპანაძე**.

პირველ კლასში მივიღეთ მხოლოდ 6 მოსწავლე.

დირექტორი: **ზურაბ ბიწაძე** პედაგოგიურ სივრცეში მეტად პოპულარული სახელია.

დირექტორის შემოქმედებითი მოადგილეები: **ეკა ნიკურაძე** და **შორენა ხუჭუა** მხარს უმშვენებენ სკოლის ხელმძღვანელს და დიდი წვლილი შეაქვთ მაღალი შედეგებისთვის ბრძოლაში. მათემატიკის ენით თუ ვიტყვით, საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია მაღალი შედეგებისა.

კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სასწავლო პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს სასკოლო გარემოში.ვართ მოტივირებულნი.

გასულ წელს გვყავდა 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანი.

სკოლაში თითქმის ყველა მასწავლებელი უფროსის სტატუსითაა.

პანდემიის გამო ღონისძიებების ნაკლებობაა,თუმცა ჩატარდა რამდენიმე ღია გაკვეთილი. მასწავლებლები და მოსწავლეები მაინც აქტიურად ართმევენ თავს იმ სირთულეებს,რაც პანდემიამ მოგვიტანა. ენთუზიაზმითა და შემართებით ვცდილობთ დავძლიოთ და გადავლახოთ ეს გამოწვევა. სხვადასხვა კლასის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ოლიმპიადაში,ყველა საგანში.

მომავალი სასწავლო წელი ავტორიზაციის წელია, რისთვისაც გულმოდგინედ ვემზადებით.ვიმედოვნებთ, მომავალი წელი მშვიდობიანი იქნება და ბევრ საინტერესო სასკოლო აქტივობებს განვახორციელებთ.

სკოლა **„ალმასი“** ულოცავს ყველა მასწავლებელს შობა-ახალ წელს.განსაკუთრებით სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს და სხვა თანამშრომლებს:

ზურაბ ბიწაძეს, ლია როსტიაშვილს, ეკა ნიკურაძეს, შორენა ხუჭუას, ეკატერინე კანდელაძეს, ნათია ლეჟავას, სოფო გორგაძეს, დალი ჩინჩალაძეს, თეა ბუსკივაძეს, მაკა ბურდიაშვილს, ნანა სტეფნაძეს, რამაზ ბაღდოშვილს, ლამარა შათირიშვილს, ლალი მაკასარშვილს, თამარ რიკაძეს, ნინო ხვედელიძეს, ნაზო შანავას, ანა თოლორდავას, ეკა ალთუნაშვილს, ნათია თედიაშვილს, მანანა სარალიძეს, ირინა ფერაძეს, ანნა კაპანაძეს, ეთერ მიქაძეს,ნინო არჩვაძეს, შალვა თეთრაშვილს,ინგა შიუკაშვილს, ნაირა შიუკაშვილს, თამარ ჭკუასელს, სოფო ჭკუასელს, ლეილა ტურძელაძეს, სოლომონ ბიწაძეს, იზოლდა როსტიაშვილს, დავით მენაბდიშვილს, მარინე გიგაშვილს. მარტო მადლობა არ ეკუთვნით, ეს არ კმარა - უფრო მასშტაბური დაფასების ღირსნი არიან. ისინი არასოდეს შეკრთებიან „კოვიდის“ წინაშე.

გაზეთი **„სახლხო განათლება+“**-ის რედაქცია, ას წელს მიახლოებული გაზეთი მასწავლებლებისა, გულმხურვალედ ულოცავს შობა-ახალ წელს **„ალმასელებს“**. ბევრი სიხარულის, წარმატებების მომტანი, პანდემიის დამარცხების წელი ყოფილიყოს იგი.

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

132-ე სკოლაში

გამოწვევებს გმირულად უმკლავდებიან

აქ ძლიერი პედკოლექტივის თავდადებული შრომით, ერუდირებულ-ენერგიული დირექტორის **თამარ მაჭარაშვილის**, ასევე ნიჭიერი, გამოცდილი მოადგილის **ეკა დათუკიშვილის** ხელმძღვანელობით შემოქმედებითი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი შედეგიანად მიმდინარეობს.

ამაში ადვილად დარწმუნდებით სკოლიდან გამოგზავნილი მოკლე ინფორმაციით. აი, ისიც: შევიმუშავეთ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;

სკოლის შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით.

ვახორციელებთ თერმოსკრინინგს, რათა გაკონტროლდეს, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების, თანამშრომელთა და ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, უზრუნველყოფილია შესაბამისი მოსაცდელი სივრცე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დასწრებითი სწავლების მეთოდით.

სკოლაში მოღვაწეობენ ძლიერი პედაგოგები ერუდირებული დირექტორის **თამარ მაჭარაშვილის** ხელმძღვანელობით. მას მხარს უმშვენებს ნიჭიერი, გამოცდილი მოადგილე **ეკატერინე დათუკიშვილი. შორენა ურთმელიძე** - პროფესიონალი ბუღალტერია.

სწავლა-აღზრდის მაღალ ხარისხს განაპირობებს საგნობრივი კათედრების ჩინებული ხელმძღვანელები: **ინგა ბოლქვაძე** - სახელმწიფო ენის, **ვიქტორია აბრამიანი** - მათემატიკის, **ნინო ამბოკაძე** -უცხო ენების, **მადონა სარალიძე** -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, **მზია ჩხაიძე** - დაწყებითი კლასების, **ლანა ჩადუნელი** - საზოგადოებრივი მეცნიერებების, **ბელა გიორგაძე** - სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა

კონკურსის წესის დაცვით მივიღეთ ახალი მასწავლებლები დაწყებითი კლასებისა - **ნინო წვერავა** და ინგლისური ენისა - **ნათია თავართქილაძე**.

სკოლაში ოთხი პირველი კლასი გვყავს. აქედან სამი ქართულ სექტორზეა, ხოლო 1 რუსულ სექტორზე.

1ა კლასი-დამრიგებელია **ლელა ბასილაშვილი**, 1ბ კლასის - **ირმა ქართველიშვილი**, 1გ კლასის - **ნინო წვერავა**, 1დ კლასის - **ირინა საროკინია**, 4ა კლასის - **თეა ქარდავა**, 4ბ კლასის - **თამარ მამაგულაშვილი**, 4გ კლასის - **ემმა ასტვაცატურიანი**.

2020-2021 სასწავლო წელი დავასრულეთ წარმატებულად. გვყავდა ორი ოქროს მედალოსანი: **მარიამ შერგელაშვილ** და **ალექსანდრე ფასიეშვილი**. სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივად ტარდებოდა ამერიკის საელჩოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია **„მომავლის თაობის“** მიერ ორგანიზებული პროექტის სჰეს გრეატ! ტრენინგები და შეხვედრები, რომელიც განკუთვნილი იყო მოქალაქეობირვი ცნობიერების ამაღლებისა და ადრეული ქორწინების წინააღმდეგ, შეხვედრები იყო შემეცნებითი ხასიათების. 2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს კი განხორციელდა დასკვნითი შეხვედრა-ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები, მაწავლებლები და პროექტის ხელმძღვანელები. სკოლის წარმომადგენლობიდან პროექტის სულისჩამდგმელები იყვნენ სკოლის დირექტორი **თამარ მაჭარაშვილი** და

ისტორიის მასწავლებელი **ლანა ჩადუნელი**. სასწავლო წლის განმავლობაში დაიგეგმა აუტიზმის სპექტრის, ასევე ტოლერანტობის, თანასწორობის, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული ყველა საფეხურის მოსწავლეები.

სასწავლ წელი დაიწყო პროექტის სჰეს გრეატ გაგრძელებითა და მუდმივი შემეცნებითი ტრენინგ-სემინარებით, რომელშიც ჩამბულები იყვნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. ასევე დაიგეგმა წლის განმავლობაში ჩასატარებელი ღონისძიებები. ჩატარდა მოსწავლეთა თვითთმმართველობის არჩევნები, ავირჩიეთ საშუალო საფეხურის წარმომადგენელი მოსწავლე, რომელიც იქნება წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დეკემბრის დასაწყისში ჩატარდა პორექტის დასკვნითი ფესტივალი, რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკის საელჩოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია **„მომავლის თაობის“** მიერ, რომელშიც ჩართულები იყვნენ სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და მასწავლებლები. ასეთი პროექტები განაპირობებს მაღალ შედეგებს. მომავალი თაობის აღზრდისა და ფორმირების პროცესში, სკოლის მთავარი პრიორიტეტიც ეს არის.

ამ მოკლე ინფორმაციიდანაც ნათლად ჩანს, ამ ურთულეს ვითარებაში რა შრომატევადი სამუშაოს ასრულებს სკოლის ყველა მუშაკი მაღალი შედეგების მისაღწევად.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს 132-ე სკოლელებო, ბევრი ნატვრა-ოცნების აღსრულების, იმედების გამართლების, „კოვიდის“ ამოძირკვის წელი ყოფილიყოს იგი.

ბორის კინდღელი

ДИДИ ГАМОЧВЕВЕБИС ВЕЛИ

მინდა, ფეხზე წამოგიდგეთ...

უკვე მეორე წელია, პანდემიურ პირობებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, იწყება სასწავლო წელი. **თბილისის 72-ე** საჯარო სკოლა (დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**) მრავალრიცხოვანია, აქ **1708** მოსწავლე ირიცხება და **67** კლასი ფუნქციონირებს. სკოლის შენობა არასტანდარტულია, შესაბამისად, დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, რათა მოსწავლეები სწორად გადაენაწილებინათ ცვლებისა და კლასების მიხედვით. სასწავლო პროცესი შერეული მეთოდით მიმდინარეობს.

სკოლაში ფუნქციონირებს **9** საგნობრივი კათედრა: **სახელმწიფო ენის** — ხელმძღვანელი **ქეთევან ქათამაძე**; მათემატიკისა და ტექნოლოგიების – **ანა ფურცელაძე**; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **ირმა კაკუშაძე**; საზოგადოებრივი მეცნიერებების – **რუსუდან კვიკვინია**; უცხოური ენების – **რუსუდან ფალავანდიშ-**

ვილი; ესთეტიკური აღზრდის – **თამარ კულულაშვილი;** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის – **ხათუნა ჭედიშვილი**; დაწყებითი საფეხურის (ქართული სექტორი) – **მარინე აფციაური**. ჰყავთ 85 უფროსი და 7 წამყვანი მასწავლებელი: **ლელი ჯანხოთელი**, **ნინო ხვინგია, ხათუნა ნოზაძე, მარინე აფციაური, ანა ფურცელაძე, ნატო ხაჭაპურიძე, რუსუდან კვიკვინია.**

სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა/სპეციალურ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**, დირექტორის მოადგილეები - **ნანა აბრამიშვილი** და **კარინე მანკულოვა**, კათედრების წარმომადგენლები: **რუსუდან კვიკვინია, ქეთევან ქათამაძე,**



ირმა კაკუშაძე, ნაირა ვართანოვა, ნათელა კაპანაძე, ნელი პარუნაშვილი, ლელი ჯანხოთელი, ნინო გიორგობიანი, მარინე იაშაღაშვილი (სპეციალური მასწავლებელი).

სკოლაში არის 6 პირველი კლასი, 2 – რუსულ სექტორზე, 4 – ქართულ სექტორზე. პედაგოგები: **ინგა აკოფოვი, ნატალია ბაიდაკოვა, ქეთევან ლეკიშვილი, მარინე აფციაური, თამთა ნატროშვილი, ნატო ხაჭაპურიძე.**

დაწყებით საფეხურს ამთავრებს ასევე, 6 მეოთხე კლასი, 2 – რუსულ სექტორზე, 4 – ქართულ სექტორზე. კლასის დამრიგებლები: **მარიეტა ახოიანი, ანა ელიბეკოვი, მზია პაპაშვილი, ნაირა ნატროშვილი, ლელი ჯანხოთელი, ხათუნა ნოზაძე.**

მიუხედავად პანდემიურ პირობებში მუშაობისა, გასული სასწავლო წელი კარგი შედეგებით დაამთავრეს. ოქროს მედალი დაიმსახურა შვიდმა კურსდამთავრებულმა: **გვანცა ხაბეიშვილმა**, **ანა ჯამასპიშვილმა, ნინი გოგბერაშვილმა, მარიამ მერაბიშვილმა, მარიამ ტუფურიამ, ნუცა უმეკაშვილმა** და **აიშე მაგრამოვამ**.

სკოლაში ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, ბევრ საინტერესო პროექტსა და ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელთა ჩამოთვლა საგაზეთო წერილში შეუძლებელია: პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის 18 მოსწავლე მიიღებს პერსონალურ კომპიუტერს; მონაწილეობდნენ თბილისის მერიის **პროექტში - „კოვიდი, როგორც შესაძლებლობა“; „როგორ დავიცვათ ქართული ენა“;** საქართველოს ფოსტის მიერ ორგანიზებულ წერის კონკურსში; ასევე, ინგლისური ენის - **„უფლისწული და მათხოვარი;“„ყველაზე წიგნიერი“, „მეცნიერება კაპიტანია“,** ჯემალ ქარჩხაძისადმი მიძღვნილი ესეებისა და ლიტერატურული კონკურსი **„ამირანი“** და ბევრი სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სკოლის მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა და მიღწეული შედეგები ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში. მეორე ტურში 28 მოსწავლე გადავიდა, ხოლო მესამეში – 6 მოსწავლე რუსული სექტორიდან და 7 - ქართული სექტორიდან. მეთორმეტე კლასის მოსწავლე **ნინო ფირბარი** გამარჯვებულთა სარეიტინგო ათეულის მეექვსე ადგილზე მოხვდა. კინგსის ოლიმპიადის მონაწილე მე-4 კლასის მოსწავლე **დაჩი დადუნაშვილმა** ერთი ოქროს და 4 ვერცხლის მედალი დაიმსახურა. **“ევროპის დღეები 2021“**-ის ფარგლებში ჩატარებულ ესეების კონკურსში - **“საქართველოს ევროპული მომავალი“** მე-11 კლასის მოსწავლე – **ირაკლი კეთილაძემ** გაიმარჯვა.

სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები სამეცნიერო კონფერენციებსა და სატრენინგო პროგრამებში. მასწავლებელთა IX საუნივერსიტეტო კონფერენციაზე **„უნივერსიტეტი სკოლას — სკოლა უნივერსიტეტს“** პედაგოგი **ირმა კაკუშაძე** მონაწილეობდა.

წარმატებული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისთვის, ქალბატონი მანანა მადლიერების წერილით მიმართავს თავის კოლექტივს.

* * *

ჩემო 72-ელებო, ეს წერილი გეძღვნებათ თქვენ!

„2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს მინდა ფეხზე წამოდგომით გადავუხადო მადლობა ჩვენი სკოლის ყველა თანამშრომელს: პედაგოგს თუ ადმინისტრაცია-დ ირექციას, ტექნიკურ პერსონალს, მანდატურს თუ ექიმს, ფსიქოლოგს თუ სპეცმასწავლებელს... ეს იყო დიდი გამოწვევების წელი... და უნდა იცოდეს ყველამ, რომ სასწავლო პროცესი გადაარჩინა ამ ხალხმა. ვინც არ იცნობს განათლების სისტემას, ვერ მიხვდება ყოველ ბრძანებას, რეკომენდაციას, რეგულაციების ცვლილებას, თვითიზოლაციებს და უკან დაბრუნებას, ონლაინ თუ სასკოლო სივრცეში სასწავლო პროცესის წარმართვას, სხვადასხვა ცხრილზე გადასვლა-გადმოსვლას, გაკვეთილების ზოგისთვის ონლაინ, ზოგისთვის - სკოლაში ჩატარებას, დროის სწორად განაწილებას, ჯანმრთელობის და ეპიდუსაფრთხოების რეგულაციების დაცვას - რაოდენ დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდებოდა! როდესაც მაქსიმალურმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, რა-

საც ადასტურებს მშობელთა და მოსწავლეთა სამადლობელი, როდესაც სკოლა ვერ იტევს გადმოსვლის და ჩარიცხვის მსურველებს, ა მ ა ყ ი ხ ა რ, ამაყი, რომ შენ და შენს გუნდს, საყრდენ-მამოძრავებელ ძალას, და ყველას ერთად თავი არ დაუზოგავს, რათა შედეგი დაედო და ასეთი შეფასებები მიეღო. როგორც არ უნდა აკრიტიკონ განათლების სისტემა, პედაგოგების შრომა გმირობის ტოლფასი იყო. კოვიდ ინფიცირებული მასწავლებლები სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად სახლებიდან თუ კლინიკებიდან ატარებდნენ გაკვეთილებს, რომ არ ეღალატათ თავიანთი მოსწავლეებისათვის... ეუფლებოდნენ ელექტრონული ჟურნალის წარმოებას, ეძიებდნენ და ქმნიდნენ სასწავლო რესურსებს და ა.შ. ახლა კი, შვებულების დროს, ჩართულნი უნდა იყვნენ ტრენინგებში.

გულწრფელი მადლობა თქვენ! იმედია, მომავალი სასწავლო წელი

უფრო ჯანმრთელი და მშვიდობიანი იქნება. ჩვენ კი გამოწვევების გამკლავების გამოცდილებით, უფრო უკეთეს შედეგებს მივაღწევთ.“

ნათია გურგენიძე

155-Ე ბაგა-ბაღის სიახლეები

აღსაზრდელებს გული გაუხარეს

155-ე საბავშვო ბაგა-ბაღი საახალწლო სამზადისშია. პატარები მოუთმენლად ელიან თოვლის ბაბუას საჩუქარს და სადღესასწაულო ღონისძიებას. პანდემიის პირობებში, საბავშვო დაწესებულებაში ყველა რეგულაციის დაცვით მიმდინარეობს სწავლება და ტარდება სხვადასხვა აქტივობები. სულ მალე, ბაგა-ბაღი ახალ გარემონტებულ შენობაში განაგრძობს ფუნქციონირებას, რომელიც სრულად რეაბილიტირებულია, ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებულია და შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. მოგეხსენებათ, შენობის სარემონტო სამუშაოების გამო, ბაღი დროებით, ბარნოვის ქუჩაზე განთავსდა, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცლაძისა** და დირექტორის **მარინე შალამბერიძის** დიდი ძალისხმევით, ამიერიდან, პატარები მაქსიმალურად კომფორტულ გარემოში აღიზრდებიან, სადაც ზედმიწევნით იქნება დაცული ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები. აქ კარგად იცავენ ბავშვთა უფლებებსა და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს. კვება კი, დაბალანსებულია, დაცულია კალორიების თანაფარდობა.



მაღალკვალიფიციური აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ მრავალმხრივად განვითარებულ პატარებს ზრდიან და პირველ რიგში, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიან. კოლექტივი კმაყოფილია დირექტორის საქმიანობით და მას ახასიათებენ, როგორ სამართლიან, პრინციპულ და პასუხისმგებლობის მქონე ხელმძღვანელად. საგულისხმოა, რომ 155-ე ბაგა-ბაღს, უკვე შვიდი წელია წარმატებით ხელმძღვანელობს **მარინე შალამბერიძე**. იგი, მრავალი წელია მომავალი თაობის არზრდას ემსახურება. პროფესიით პედაგოგია და მოწოდებითაც მასწავლებელია. ძალიან უყვარს თავისი საქმე და ბავშვები. არის შესანიშნავი დედა და ბებია.

ქალბარონი მარინეს თაოსნობით საბავშვო ბაღი უფრო მეტად მოთხოვნადი გახდა, დაკომპლექტდა ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრებით და სანიმუშო აღმზრდელებით. თანამშრომლებს მეგობრული დამოკიდებულება აქვთ და ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. დირექტორის ინიციატივით, ბაღში დაინიშნა პროფესიონალი ლოგოპედი, ფსიქოლოგი და სპეც. პედაგოგი. მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად სააღმზრდელო პროცესს შესანიშნავად უძღვება მეთოდისტი.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღში სააღმზრდელო პროცესში არის სიახლეები და სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. ,,სასკოლო მზაობის'' პროგრამას პატარები წარმატებით ეუფლებიან და კარგად ფლობენ სასკოლო უნარ-ჩვევებს. შემოქმედებით პროცესსა და ყველა აქტივობაში პატარები დიდი მონდომებით არიან ჩართულნი. ტარდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიება: საშემოდგომო, საახალწლო, საგაზაფხულო და გამოსაშვები.

ბაღის წარმატება, რა თქმა უნდა, პროფესიონალი აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია. დირექტორი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს მთელი კოლექტივის მიმართ და დადებითად აფასებს მათ თავდადებულ შრომას. ასევე, მადლობას უცხადებს **ბაგა-ბაღების სააგენტოს** მხარში დგომისა და აღსაზრდელებისთვის შექმნილი სრული კომფორტისთვის. **155-ე** ბაგა-ბაღის მესვეურები ახალ წელთან ერთად, ახალ შენობაში გადასასვლელად ემზადებიან.

მზია გოგოძე

151-ე სკოლის დიდი მიზნები

ცოდნა და განათლება აქ პრიორიტეტულია

წიგნიერებას, განათლებას და დისციპლინას უდიდეს ყურადღებას აქცევენ და ამიტომაც ამაყობენ მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებით. მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და მუდამ სიახლეებს ნერგავენ. სწორედ, ასეთი გამორჩეულია თბილისის 151-ე საჯარო სკოლა, რომელთა კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლის წარმატებებზე, სასწავლო პროცესსა და განხორციელებულ პროექტებზე გვესაუბრება დირექტორი **ლია რუხაძე:**

- დირექტორად ამირჩიეს 2018 წლის ივნისში. ამ ხნის განმავლობაში, სკოლაში ბევრი ცვლილება განხორციელდა და ნამდვილად იგრძნობა წინსვლა, როგორც სწავლების ახალი მეთოდების დანერგვისა თუ ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით. შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და გარემონტდა სველი წერტილები. რაც შეეხება ბავშვთა რაოდენობას, 2021 — 2022 სასწავლო წელს, სკოლაში ირიცხება 997 მოსწავლე და ფუნქციონირებს 38 ფინანსური კლასი. დაწყებითი საფეხური - 491 მოსწავლე, საბაზო საფეხური - 231 მოსწავლე, საშუალო საფეხური - 275 მოსწავლე. გასულ სასწავლო წელს, მე-12 კლასი დაასრულა 81 მოსწავლემ და მათ შორის იყო 10 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალოსანი. სკოლაში დასაქმებულია 62 პედაგოგი, რომელთაგან 50 უფროსი, 11 წამყვანი და 1 მენტორია.

მოგეხსენებათ, სკოლის პედაგოგი არის გლადიატორი, რომლისგანაც მოითხოვენ სისხლს, სულსა და გულს. მას სჭირდება დიდი ცოდნა და გულისხმევა საიმისოდ, რომ მოსწავლესთან აწარმოოს სწორი კომუნიკაცია, იყოს მათთვის სასურველი და მისაღები ადამიანი. მან უნდა შეძლოს, იყოს მათი მეგობარი, რათა მოახერხოს საგნის წარმატებით სწავლება. მოსწავლის ინტერესი და მოლოდინი პედაგოგისადმი, როგორც პიროვნებისადმი ყოველთვის დიდია. მათ აინტერესებთ საკუთარი პედაგოგის ირგვლივ ყველაფერი - ვინაობა, სოციალური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, გემოვნება და ასე შემდეგ. მოსწავლეს უტყუარი ალღო აქვს და ვერ გამოაპარებ რამდენად გულწრფელია მის მიმართ მისი მასწავლებელი, როგორ მეტყველებს და აზროვნებს თუ არა ის თანამედროვედ, ერკვევა თუ არა ტექნოლოგიებში, რა ჟანრის მუსიკას უსმენს, აკვირდებიან მის ჩაცმულობას, ასაკსა და იმიჯს და თუ ჯდება პედაგოგი მათ კრიტერიუმებში, მაშინ ყალიბდება მათ შორის ორმხრივი ურთიერთობა და

შედეგსაც სასურველს ვიღებთ.

151-ე საჯარო სკოლაში, უკვე მეოთხე სასწავლო წელია მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი და აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში. 2021-2022 სასწავლო წლის ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობს სკოლის 35 მოსწავლე. ასევე, არიან 2020-2021 სასწავლო წლის, ოლიმპიადის (კინგსი, ევერესტი, ეტალონი) გამარჯვებული დაწყებითი კლასების მოსწავლეები, რომელთაც მიიღეს პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები და შესაბამისად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოცდამეერთე საუკუნის მოსწავლე არის იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს დღევანდელობის განსხვავებული ხედვა, ინტერესი, ღირებულებები, ტექნიკისა და ვირტუალური სამყაროსკენ მიდრეკილება. ეს ის თაობაა, რომელმაც უნდა ჩაიბაროს მომავლის მართვის სადავეები. დღეს ისინი გვკარნახობენ და ადგენენ კანონებს. სკოლამ მათ უნდა მისცეს თავისუფლება. ამიტომ, სკოლის თითოეული პედაგოგის უპირველესი მოვალეობაა მოუსმინონ მათ და არ შეზღუდონ მათი პიროვნული თავისუფლება.

თანამედროვე სკოლის პედაგოგი, მზად უნდა იყოს სიახლეების მისაღებად და მათ გასატარებლად. ამ მიზნით, ჩვენი სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მათ შეძლონ ზრუნვა თვითგანვითარებაზე და ასევე მიღწეული შედეგებისა და გამოცდილების გამოყენება სასწავლო პროცესში.

151-ე სკოლის პედაგოგები, უკვე მესამე წელია აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტში **„ახალი სკოლის მოდელი“**. პედაგოგები ესწრებიან შეხვედრებს საგნობრივ ექსპერტებთან და მუშაობენ კომლექსური დავალებების შექმნაზე, ახორციელებენ პროექტებს. სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი **„ადამიანის უფლებები''** , რომელმაც გამოიწვია სკოლის თემის გააქტიურება და შედგა შეხვედრები (მიუხედავად მძიმე პანდემიური სიტუაციისა) შესაბამისი დარგის ექსპერტებთან, როგორც სამთავრობო ასევე, არასამთავრობო სექტორთან.

საგულისხმოა, რომ პროექტმა ხელი შეუწყო პანდემიის პირობებში სასკოლო თემის გაერთიანებას და არაფორმალური განათლების განვითარებას. მიმდინარე სასწავლო წელს, სკოლა მუშაობს სასკოლო პროექტზე **„კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“**, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ჩართულობას.

აღნიშნულ პროექტში ჩართულობისათვის მზაობას კი, წინ უსწრებდა 2019-2020 სასწავლო წელს ესტონეთის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ტალინის უნივერსიტეტის კოორდინირებით ჩატარებული პროექტი **„ციფრული სკოლა - საქართველო“** .და 151-ე სკოლამ, პედაგოგებთან: **დიანა მიქაძე, ირინე კობეშავიძე, ლეილა ჩიტაიშვილი, მარეხ ბასილიძე** და **ეკატერინე ლოლაშვილთან** ერთად გამარჯვებულთა ათეულში დაიკავა საპატიო ადგილი და წარსდგა ბათუმში ჩატარებულ კონფერენციაზე. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს საჯარო სკოლებში, განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და თანამედროვე ციფრული სასწავლო პრაქტიკის დანერგვას.

უკვე მეორე წელია, სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზო განათლების პროგრამაში - პირველი ექვსი კლასის მასწავლებელთათვის და ლიდერი დირექტორებისათვის. სკოლიდან შერჩეული ლიდერი მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ და ტრენინგზე მიღებულ ცოდნას რეგულარულად უზიარებენ სკოლაში შექმნილ სასწავლო ჯგუფებს. ისინი შეთავაზებულ სიახლეებს ნერგავენ გაკვეთილებზე, რაც სასწავლო პროცესს აქტიურსა და შემოქმედებითს ხდის. 2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს გამოცხადდა მასწავლებელთა აღიარების რეგიონული კონკურსი, რომელზეც სკოლამ ნომინაციაში **„კითხვის საუკეთესო მასწავლებელი''** წარადგინა დაწყებითი კლასების მენტორი პედაგოგი **მარეხ ბასილიძე,** რომელიც თბილისის მასშტაბით დასახელდა კითხვის საუკეთესო მასწავლებლად. გამარჯვებულს სერტიფიკატი და ფასიანი საჩუქარი გადასცა ამერიკის ელჩმა **კელი დეგნანმა.**

2020-2021 სასწავლო წელს, ,,PH International“-ისა და USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში **„სამოქალაქო განათლებისა და ტექნოლოგიების შესწავლა ინგლისური ენის გამოყენებით''** მონაწილეობდნენ ჩვენი სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი **ხათუნა სამსონაშვილი**, სამოქალაქო განათლების პედაგოგი **ნინო მაისურაძე** და კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგი **დიანა მიქაძე**. თბილისისN151-ე საჯარო სკოლის პედაგოგთა გუნდი პროექტში წარმატებით მონაწილეობისა და მუშაობისთვის შეარჩიეს პროექტის შემაჯამებელ კონფერენციაზე, თემის **„რეალების გამოყენება ინტეგრირებულ გაკვეთილზე''** წარსადგენად და თითოეულ მათგანს საჩუქრად გადაეცა პლანშეტი. კონკურსის საფუძველზე სამოქალაქო განათლების პედაგოგი **ნინო მაისურაძე** შეარჩიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო ინგლისური ენის მასწავლებელი **ხათუნა სამსონაშვილი** ჩაერთო **,,Internationali“**-ის ახალ პროექტში **„ტრანსკავკასიის ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება ''.** პროექტის ფარგლებში ის მიემგზავრება სომხეთში დაგეგმილ ტრენინგზე მონაწილეობის მისაღებად.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს „კოვიდ-19“-ის პრევენციის მიზნით, რათა სკოლაში იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. მუდმივად ხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, პირბადის ტარებისა და თერმო სკრინინგის კონტროლი.

ერთი სიტყვით, თბილისის 151-ე საჯარო სკოლა მიუხედავად პანდემიის პერიოდისა, ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. აქაური მესვეურები მზად არიან ახალი გამოწვევებისათვის, ფეხდაფეხ მიჰყვებიან ყველა საჭირო და სასარგებლო სიახლეს, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სასწავლო პროცესისა და ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას.

მზია გოგოძე

სსიპ ქალაქ თბილისის **N151** საჯარო სკოლის მხარდამჭერთა გუნდი : ლია რუხაძე, დიანა მიქაძე, ლეილა ჩიტაიშვილი, ირინე კობეშავიძე , მარეხ ბასილიძე, ეკატერინე ლოლაშვილი-თევდორაშვილი

კოლეჯი „მერმისი“: დასაქმება - 93 %!

აქ არის მათი საუნჯე

სიმდიდრის სინონიმად ქცეულ ლიბიის მეფე კრეზუსს ათენელი ბრძენი სოლონი სწვევია. მასპინძელმა მყისვე სალაროში ჩაიყვანა და გაყოყოჩებულმა უჩვენა იგავიუწვდომელი განძი.

„მეფეო, - უთქვამს სტუმარს, - ეს ყოველივე წარმავალია. მთავარია, რას უტოვებ შტამმავლობას, როგორ ზრუნავ მასზე“.

როცა კიროსმა ლიბია დაიპყრო და კრეზუსს მოკვლა დაუპირა, ტყვედქმნილს გაახსენდა სოლონის ნათქვამი და შეჰღაღადა: „სოლონ, სოლონ, სოლონ!..“

გვმოძღვრავს უფალი, ნუ მიელტვით მიწიერ საუნჯეთ, რადგან ან ჟანგი შეჭამს, ან – ჩრჩილი, ანდა ქურდი მოიპარავს. მიელტვოდეთ ზეციურ საუნჯეს, ვინაიდან, სადაც არის საუნჯე შენი, იქვე იქნება გული შენიცო.

საზოგადოებრივ კოლეჯ **„მერმისის“** კოლექტივის საუნჯე და საგანძური მთლიანად მათს აღსაზრდელებშია დაუნჯებული. და სადაც არის ეს საუნჯე, იქვეა გული მათი. ამას კოლეჯის ქვემორე მოხმობილი საოცარი წარმატებები ადასტურებს: სასწავლო დაწესებულება რთული მექანიზმია და ყოველი წარმატების მიღწევა თითოეული სეგმენტის შეთანხმებული, მიზანმიმართული და ბეჯითი შრომის ლოგიკური შედეგია.

ცხადია, ასეთ დიდ – წლის მანძილზე კოლეჯში 1600-მდე სტუდენტი სწავლობს – და ერთობ პასუხსაგებ საქმეს სათანადო ხელმძღვანელი სჭირდება და, თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მორაკრაკებს.

„მერმისის“ დირექტორმა, ქალბატონმა **ნონა ღუდუშაურმა** ერთობ საინტერესო და წარმატებებით აღსავსე შრომითი გზა განვლო. გამონვლილვით იცის პროფესიული აღზრდის ყოველი ნიუანსი და შედეგიც სახეზეა.

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზიდება, განგების ძალით, ერთი ნებით, ერთი გზნებით, ერთი იდეით შეპყრობილი ადამიანები მიიზიდებიან და ერთობლივად, დიდი შემართებით იღვწიან საერთო მიზნის მისაღწევად.

ასე შემოიკრიბა ქალბატონმა ნონამ მცოდნე, ენთუზიაზისტი, საქმის ერთგული კოლექტივი და **„მერმისი“** არათუ საქართველოში, ამიერკავკასიაშიც მოწინავე კოლეჯია.

მივყვეთ და ვნახოთ, დაარსებიდან 9 წლის განმავლობაში, რა შეძლო და რას შეძლებს კოლეჯი.

სსიპ კოლეჯი „მერმისი“ ნებისმიერი ასაკის სწავლის მსურველს სრული სახელმწიფო დაფინანსებით სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნად 5 სფეროს მესამე, მეოთხე და მეხუთე დონის 23 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ გარემოში. კოლეჯი განუხრელად ზრუნავს გაუმჯობესებაზე, რის შედეგია სპეციალობების მიხედვით მისაღებ ადგილებზე ყოველწლიურად რეგისტრირებულ აპლიკანტთა მუდმივად მზარდი რაოდენობა. ყველა სპეციალობაზე ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის წესით.

2017 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. შესაბამისად, „მერმისმა“ იმავე წელს რეფორმის ფარგლებში დაიწყო დუალური მიდგომით „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამის განხორციელება.

2019 წლიდან, რეფორმის ფარგლებში, პროფესიულ განათლების სისტემაში დაიწყო ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა. ინიციატივაში ჩაერთო კოლეჯი „მერმისი“ და მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს სამ ინტეგრირებულ პროგრამას: „ვებტექნოლოგიები“, „სარეტორნო მომსახურება“ და „სასტუმრო მომსახურება“, რომლის დასრულების შემდგომ კურსდამთვრებული მიიღებს 12 კლასის ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს და სურვილისამებრ შეძლებს სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისათვის, „მერმისში“ შეიქმნა ხელმისაწვდომი სასწავლო გარემო, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით. შედეგად, წლების განმავლობაში 300-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაუფლა პროფესიულ განათლებას, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სხვა პროფესიულ დაწესებულებებთან შედარებით.

კოლეჯს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა აქვს. დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში კოლეჯის დევნილი სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ტრანსპორტირების თანხით. სამი წლის განმავლობაში პროექტით ისარგებლა 200-მდე სტუდენტმა. საგრანტო პროგრამის – „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა“ – ფარგლებში კოლეჯის 30-მდე კურსდამთავრებული დაფინანსდა გრანტით ტექნიკა-დანადგარების შესაძენად და ბიზნესის წამოსაწყებად.

2019 წლიდან პროფესიულ განათლებაში შესაძლებელი გახდა ზრდასრული მოსახლეობისათვის ცალკეული კომპეტენციების/უნარების შესწავლა, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით. მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, კოლეჯმა დაიწყო თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ათი – მომზადებისა და ერთი გადამზადების პროგრამის განხორციელება სს „ენერგოპრო ჯორჯიასთან“ თანამშრომლობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი – „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა“ – კარიერის მართვის სერვისის ერთ-ერთ ქმედითი ინსტრუმენტია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პროფესიული განათლების პოპულარიზებაზე ახალგაზრდებში და ხელი შეუწყო სკოლისა და კოლეჯის თანამშრომლობის გაძლიერებას. კოლეჯი „მერმისი“ პროექტში 2017 წლიდანაა ჩართული და 20-ზე მეტ საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით ახორციელებს საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსებს.

თავდაპირველად კოლეჯი მხოლოდ 50-მდე სახელმწიფო და კერძო კომპანიასთან თანამშრომლობდა. ურთიერთობა, ძირითადად, კოლეჯის ინიციატივით მყარდებოდა. 2021 წლის მონაცემებით კი კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 450-ზე მეტ კომპანიასთან, სადაც სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას და წარმატებით საქმდებიან (სასტუმრო „იოტა“, სასტუმრო „ამბასადორი“, სასტუმრო „რუმსი“, შპს „ქართუ უნივერსალი თოლია“, შპს „თეგეტა მოტორსი“, შპს „ანაგი“, შპს „ავთანდილი“, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“, შპს „MEGADOORS”, შპს „აგროჰაბი“, სასტუმრო „შერატონი“, შპს „აჭარა ჯგუფი“ და სხვ). აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში კომპანიებთან ურთიერთანამშრომლობა, ძირითადად, დამსაქმებლების ინიციატივით ყალიბდება. კოლეჯსა და დამსაქმებელს შორის მტკიცე პარტნიორული ურთიერთობის შედეგად გაიზარდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი. 2021 წლის მონაცემებით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია პროფესიების მიხედვით.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს თბილისის მერიასთან, რომლის ხელშეწყობით, ბოლო სამი წლის მანძილზე თბილისში რეგისტრირებული 800-ზე მეტი უმუშევარი ბენეფიარი გადამზადდა შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებზე. მათი 90% დასაქმებულია პრაქტიკის ობიექტებზე.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, რომლის ფარგლებშიც ორივე მხარე აქტიურად ზრუნავს უმუშევარი ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება/გადამზადებასა და დასაქმებაზე.

კოლეჯის წარმატებები აღიარებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. კერძოდ, 2017 წლის „ესტონეთის მოწინავე პრაქტიკული გამოცდილება საქართველოს პროფესიული განათლების კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერისათვის II” პროექტის ფარგლებში კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდ „ინოვეს“ ექსპერტების მიერ განხორციელებულ კოლეჯის ნებაყოფლობით გარე შეფასებაში. პროექტმა ესტონელი ექსპერტების მაღალი შეფასება მიიღო. დასკვნაში აღნიშნულია, რომ კოლეჯში დასაქმებულია მოტივირებული და კოლეჯის განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალი. მის წარმატებულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს: ძლიერი ხელმძღვანელობა, გააზრებული მართვა, გახსნილობის ატმოსფერო, ისეთი, როცა მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები თავისუფლად გამოხატავენ თავის აზრებს. ხელმძღვანელები ხელმისაწვდომნი არიან თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის და სამაგალითონი არიან მათთვის.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კოლეჯში სისტემატიურად ჩამოდიან სხვადასხვა დარგის SES ექსპერტები. 2017 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ერთობლივი ინიციატივით, SES-საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანიის ეკონომიკი ფონდის ექსპერტებმა კოლეჯის „ყველაზე მაღალი“, ძალიან მაღალი პოტენციალის მქონედ შეაფასეს.

საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარებისა და სტუდენტთა და მასწავლებელთა სტაჟირების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს: გერმანიის სტუმართმასპინძლობის ინსტიტუტთან; ესტონეთის ქ. ტალინის სამშენებლო სკოლასთან; ლატვიის ქ. შაულაის საბითუმო და საცალო ვაჭრობის პრაქტიკულ სასწავლო ცენტრთან.

2018 წელს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი “მერმისი” პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის გამარჯვებული – წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა.

იმავე წელს კოლეჯი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა კოლეჯი „წლის საუკეთესო პარტნიორის“ ტიტულით დააჯილდოა.

2019 წელს კოლეჯის სტუდენტი **ხატია ნადარეიშვილი** პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018-ის გამარჯვებულად - წლის პროფესიულ სტუდენტად დასახელდა.

იმავე წელს ბრიუსელში ევროკომისიის მიერ ორგანიზებული ევროპის წამყვანი ფორუმი - ევროპული განვითარების დღეები (EDD) გაიმართა. მისი მიზანი იდეებისა და გამოცდილების გაზიარებაა, დევიზი - **„უთანასწორობის გამოსწორება: ააშენე მსოფლიო, რომელიც არავის არ ტოვებს უკან“.** სესიის – „ადგილობრივი საზოგადოების მნიშვნელობა: პროფესიული განათლების

გაგრძელება მე-9 გვ.

კოლეჯი „მერმისი“: დასაქმება - 93 %!

აქ არის მათი საუნჯე

მე-8 გვერდიდან

გამოცდილებიდან პოლიტიკამდე“ ერთ-ერთი ორგანიზატორი სსიპ – კოლეჯი „მერმისი“ იყო. კოლეჯის დირექტორმა, ქალბატონმა გამოწვევებთან დაკავშირებით გაუზიარა გამოცდილება კოლეჯ „მერმისის“ მაგალითზე. სესიაზე უჩვენეს ვიდეორგოლი კოლეჯის საქმიანობის შესახებ.

2021 წელს კოლეჯის პედაგოგი **ივანე ჩუტკერაშვილი** დასახელდა პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2021-ის გამარჯვებულად - წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

თუმცა კოლეჯისათვის საუკეთესო ჯილდო სტუდენტთა ცოდნა და ზნეობაა, მაგრამ რამდენიმე „გარეშე“ ჯილდო კიდევ ჩამოვთვალოთ:

2017 წელს განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდმა „ინოვემ“ „მერმისს“ ქართულ-ესტონურ პროექტში თანამშრომლობისა და საქართველოსა და ესტონეთს შორის ხანგრძლივი თანამშომლობის განვითრებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის სერთიფიკატი გადასცა.

მომდევნო წელს კოლეჯს გადაეცა მადლობის სიგელი “სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში” შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (პროფესიული უნარების კურსი სურსათის უვნებლობაში).

2020 წელს „მერმისს“ გადაეცა საუკეთესო პარტნიორის დიპლომი შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალში „ივერია ბრილიანტი“ მონაწილეობისათვის, რომელიც ხორციელდება საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთვის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი **ილია მეორის** ლოცვა-კურთხევით.

კოლეჯი პროფესიული განათლების პოპულარიზებისთვისაც „იცლის“ და საამისოდ მრავალ ღონისძიებას მართავს

სახელდობრ, გამოცხადდა პროფესიული განათლების 2021 წლის ეროვნული ჯილდოს კონკურსი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **მაგდა მაღრაძე**, ისრაელის ელჩი საქართველოში **რან გიდორი**, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის გენერალური დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი**, საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ამილახვარი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

პროფესიული განათლების, განსაკუთრებით დუალური განათლების უპირატესობებზე, ასევე გამოწვევების, დასაქმების პერსპექტივებზე, პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზებასა და პროფესიული განათლების უკვე გაუმჯობესებულ იმიჯზე კოლეჯ „მერმისი“ სტუდენტებთან გამართეს შეხვედრა გერმანიის ელჩმა **ჰუბერტ ქნირშმა** და მინისტრის მოადგილემ **თამარ ქიტიაშვილმა.**

პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ნიბლოშვილი** სამუშო ვიზიტით იმყოფებოდა კოლეჯში.

კოლეჯის სტუდენტებისა და მასწავლებლისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა საპრიზო ადგილი დაიკავა ინოვაციური იდეების კონკურს „ჰაკათონში“.

კოლეჯის სტუდენტები მონაწილეობდნენ „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს“ ორგანიზებულ ტრეინინგში მეწარმეობრივ უნარებსა და კომპეტენციებში და მსოფლიოს 123 ქვეყანაში აღიარებული სერთიფიკატი მიიღეს.

აი, ასე. ხომ დავრწმუნდით კოლეჯ „მერმისის“ წარმატებებში? მით უფრო, რომ სათქმელი ბევრი დაგვრჩა. მაგრამ „მერმისი“, რის მერმისია, რომ სამერმისოდ კვლავაც არ ამრავლოს წარმატებები და სათქმელი არ გამოგვილიოს...

კონსტანტინე გურგენიძე

ბორის ადლეიბა – 90

თბილისში ჩატარდა ბორის ადლეიბას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

ცნობილი პოლიტიკოსის – პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის, **ბორის ადლეიბას** მოღვაწეობას აფხაზეთში დამსახურებისამებრ, ღირსეულად აფასებდნენ.

მის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს ასეთი სათაურები ჰქონდა: „ცხოვრებისეული მეცნიერების აკადემიკოსი“, „ნაციონალური ლიდერი“, „ბრწყინვალე პოლიტიკოსი“...

ეს აღმატებული სტრიქონები გაზეთ „აფხაზეთის მერიდიანიდანაა“...

ჩვენთვის, თბილისში მცხოვრები დევნილებისთვის, სასიამოვნო და ამაღელვებელი იყო ამ სიტყვების წაკითხვა. განსაკუთრებით **ბორის ადლეიბას** თანამემამულეებისთვის, ოჩამჩირელებისთვის.

ოჩამჩირელთა კავშირმა „ერთობამ“ გადაწყვიტა, აღენიშნა ბორის ადლეიბას 90 წლის იუბილე. ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში, რომელიც ბორის ადლეიბას ხსოვნას მიეძღვნა, მონაწილეობას იღებდნენ დევნილები ოჩამჩირედან, სოხუმიდან და გაგრიდან.

პირველ რიგში, ჩვენ გადავწყვიტეთ სპორტის მუზეუმ „ერთობაში“ ხსოვნის სტენდი შეგვექმნა – დავამზადეთ წარსული წლების ფოტოები და პორტრეტები, რომლებიც ბორის ადლეიბას თანამემამულეებთან მოვიძიეთ.

ჩვენი სტენდი დაამშვენა **ბორის ადლეიბას** სახელობის თასმა, რომელიც აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა გადმოგვცეს.

მთელი ატრიბუტიკა, რომელიც ჩვენ გვაჩუქეს, გათვალისწინებული იყო ბორის ადლეიბას სახელობის სპორტულ ტურნირში მონაწილე ბავშვთა საფეხბურთო გუნდების დაჯილდოებისთვის.

აღნიშნული ტურნირი „დინამოს“ დიღმის ბაზაზე ჩატარდა.

პარალელურად, ჩატარდა ტურნირი ნარდში.

საპრიზო ადგილებისთვის ტურნირის 20 მონაწილე იბრძოდა. უშეღავათო ბრძოლის შედეგად პირველი ადგილი და ოქროს მედალი **გივი ჩხეტიამ** მოიპოვა, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი **რაულ ჯანაშიას** ერგო, ხოლო მესამე ადგილისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი **ნოდარ კობახიძე** გახდა.

ყველა ღონისძიება – სტენდის გახსნიდან დაწყებული, ფეხბურთისა და ნარდის ტურნირებით დამთავრებული, გადაიღო აფხაზეთის ტელევიზიამ (ხელმძღვანელი **იგორ კოპალიანი**), რისთვისაც დიდად მადლიერნი ვართ მისი.

ამჟამად ვამზადებთ DVD დისკს, რომელზეც ჩაწერილი იქნება **ბორის ადლეიბას** ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება სრულად.

DVD დისკი და მონაწილეთა საერთო ფოტო გაიგზავნება სოხუმში, იქაურებისთვის ცნობილია ხსოვნის ღონისძიების ჩატარების შესახებ.

ბორის ადლეიბას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება საშუალებას მოგვცემს, შევინარჩუნოთ ის კონტაქტები, რომლებიც დღეს გვაქვს ოჩამჩირელებთან და შევძლებთ მათთან მოლაპარაკების გაგრძელებას.

ოჩამჩირის კავშირი „ერთობა“ და მისი ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ფეხბურთში თენგიზ ნორაკიძე, მადლობას ვუხდით დევნილთა სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელს **რეზო გერგედავას** იუბილეს ორგანიზებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

საიუბილეო ტურნირში მონაწილეობდნენ იურისტები, მედიკოსები, პედაგოგები, არქიტექტორები და საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ვეტერანები: **ვლადიმერ ბარქაია** („დინამო“ თბ.), **რევაზ ძოძუაშვილი** („დინამო“ თბ.), **ზორბეგ ებრალიძე** („დინამო“ თბ.), **მანუჩარ მაჩაიძე** („დინამო“ თბ.), **სერგო ფიფია** („დინამო“ თბ.), **თენგიზ ნორაკიძე, გივი ჩხეტია, ომარ ჟვანია, ნოდარ კობახიძე, რაულ ჯანაშია, რამინ გოგია, გურამ რიგვავა, ველოდი გოგია, თამაზ ჩხვირკია, ლევან ლაგვილავა, დავით ძალამიძე, თამაზ კალანდია, ემზარ თუნგია, ენემეო სიდიანი, დავით ჯალალიძე, ზაურ კაკაჩია, ოთარ წურწუმია, რეზო ჩხეტია.**

თბილისი, 21. 11. 2021 წ.

თენგიზ ნორაკიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

ლიტერატურული გვერდი

ლექსები, რომლებიც „სულ გულის მონაწურია“

დეიზი ემანულიძე

***

სამშობლოს ტკივილს გული დაუსერავს,
მის ბედნიერებისთვის მინდა რომ ვდუღდე
თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაჭრილს,
სიცოცხლის ყიჟინა მინდა რომ ქუხდეს!!!

„სამშობლო - ჩემი გულის ფეთქვაა“,
შვილი ვარ ჩემი ქართულ მთა-ბარის
მტკივა აფხაზეთს ფრთა - მოტეხილი
ენგურს ვესწრაფვი შეკვრას კამარის.

სამეგრელოში იარებს ვილბობ,
ფსოუს წყალს შევსვამ გულდაკოდილი,
თავისუფლების სიცოცხლით მებრძოლს,
ღრმად მაქვს ფესვები მე დაკოჟრილი.

გურიის მთებში ქრიან ცხენები,
ბახმაროს სუნთქვით გულანთებულნი,
საწერეთლოში ჩანგურს დავმღერი,
სამურზაყანოს სხივანთებული.

ვდგავარ იმერეთს მაღლობზე გორას,
შორს , დარდით გავცქერ მარუხის ტეხილს,
ტკივილით ვიწმენდ კოდორის ცრემლებს,
ველარ ვერევი ფიქრებს ატეხილს.

საქართველოზე გული მიტირის,
გული ბედიის ტაძარში ფეთქავს,
ხმაღაღადისით უფალთან ჩოქვით,
მოქვის მონასტერს მსურს ლოცვა მეთქვა.

აქეთ , სამაჩაბლო მისველებს თვალებს,
ლიახვს ჩამოაქვს ცოდვის ცრემლები,
სისხლმა შეღება წვერიახოს მთა
ყველას დასერილ გულს ვეფერები.

გმინავს ტკივილის ხმა უდრტვინველად,
მტერს რომ უმღერდნენ გმირულ „შავლეგოს“
ანწუხელიძის ამაყ, ქართულ სულს ვფიცავ,
სიკვდილს სიცოცხლე რომ შევაგებოთ!!

თავისუფლება ჩვენი სუნთქვაა,
ტანჯვა ვერ მოგვკლავს, მტერი ვერ დაგვცემს,
თავისუფლება - საქართველოა,
ქართველებს ვერვინ რომ ვერ წაგვაქცევს !!

ზაირა ფრუიძე

მონატრება

გარეთ ვზივარ ჩაფიქრებით,
ქარი არხევს ჭადრებს,
როგორ მინდა ფეხშიშველმა
ჩავურბინო ჭალებს.

მინდა გავხდე კვლავ პატარა,
ჩავირბინო ხევში,
გვირილები დავკრიფო და
ჩავიბნიო თმებში.

მე ვეძახი ჩემს ბავშვობას,
სევდიანს და სათნოს,
ღმერთო, ისევ დამიბრუნე,
მეტს არაფერს არ გთხოვ.

ისევ ჩავყვე ცხენის წყლის პირს,
დავისვარო სილით
რომ ვირბინო მის ნაპირზე,
ყოველ სისხამ დილით.

პაპაჩემის ძველი თუნგით
მივაშურო წყაროს,
წყლით ავსების მოლოდინში
კესანები ვთვალო.

ისევ ვიგრძნო ძველი სუნი,
ბებოს კეცის მჭადის,
კეთილ ზღაპრის თეთრი პრინცის
ფერიობა მწადის.

ღამე თავთან მინათებდეს
მოციმციმე ლამპარს,
ჩემი დედა მიყვებოდეს
ათასჯერ თქმულ ზღაპარს.

მამა თავზე რომ მისვამდეს
მის დაკოჟრილ ხელებს,
მხრებით შემომატარებდეს
ლილო-ჭრილო ველებს.

რომ გავუყვე ვენახის გზას
ღიღინით და სტვენით,
ჩხა აკიდო გავაკეთო
ქარვისფერი მტევნით.

თივის ზვინში დავიმალო,
კვლავ ვეწვიო საბძელს,
ღმერთო, ამდენ მონატრებით,
კიდევ რამდენს გავძლებ.

მე დავეძებ ჩემს ბავშვობას,
მაგრამ არსად არ ჩანს.
დრომ წაიღო, გაახუნა
ატლასი და ფარჩა.

მონატრებით გადაღლილს კი,
წლები თმებში მათოვს,
ღმერთო, წუთით დამიბრუნე!..
მეტს არაფერს არ გთხოვ...

თამარ პაქსაძე

* * *

დედა ჩემო საყვარელო
დედა ჩემო სანატრელო
სიტყვით ბევრი რო ვერ გითხრა
და ლექსად რომ დაგიწერო

შენი დგომა და ფერება.
დღემდე მომსდევს საყვარელო
დედა შენი ტკბილი ხედვაა
მუდამ მინდა დამადევნო

დედავ შენთვის მემეტება
სამყარო და გალაკტიკაც
მინდა გითხრა შენი შვილი
ოცნებობს და დღემდე გიცავს

მინდა იყო ლაღი სახით
არ შეგაშინოს ზეცის რისხვამ
ჩემო დედა საყვარელო
შენ ხარ ჩემი მთაც და მიწაც.

მოვლენილი სამყაროში
პატივ საცემ ქმედებისა
ვერანაირი წონა დაჰსძლევს
როგორც დედის კალთა ღვთისა

ღვთისაგან ხარ ნაკურთხევი
სამყაროსი სხივი ცისა
სწორედ დედით შევისწავლით
ყველა აღმართს, ყოველ სიტყვას.

თამუნა ლომიძე

არ შემიძლია

მე შემიძლია არ დავჭკნე მარად,
მუდამ ვახარო თავი ვარდივით.
მე შემიძლია სიყვარულისთვის,
თავი გავწირო მეომარივით.

მე შემიძლია მეორე ლოყა,
შემოგიშვირო, ისიც სიცილით.
მე შემიძლია სიკეთე ქვეყნად,
უანგაროდ და ისიც ღიმილით.

მე შემიძლია უვადო დარდი,
სევდაც უვადო მე შემიძლია,
მაგრამ ვერავინ ვერ შეამჩნიოს,
დაე, ეგონოთ, მხოლოდ ლხინში ვარ.

მე შემიძლია დანაკუწებულს,
კვლავ ერთად შევკრა ჩემი სხეული,
ასჯერ დავეცე, მერე წამოვდგე,
ისევ ვაცოცხლო სული ეული.

მე შემიძლია ისიც და ესეც,
მე ყველაფერიც სულ შემიძლია.
მხოლოდ ერთია ამ ქვეყანაზე,
უსიყვარულოდ არ შემიძლია.

მაია ხოფერია

* * *

არ ჩავაქრობ შენზე ფიქრის ღადარს,
მოთმინებით შევუბერავ სულს,
მონატრება ისევ ყელს მიღადრავს,
გწერ და ამით ვიიმედებ გულს...

დაეკარგა ფერი მწვანე ფოთლებს,
სად წახვედი ?! - მოლოდინი მკლავს,
შემოდგომა ცივ ღამესთან მტოვებს
და მშველელი არც არავინ მყავს ...

ვერც ხეები მალავს შიშველ ტოტებს,
მზე გაცივდა, განაცრისფრდა ცაც,
მე წავედი, შენ სხვის ხელში გტოვებ,
ის სხვა არის მშველელიც და ხსნაც...

გულში მშვიდად დაილექა წლები,
სადღაც მესმის სუსტად ფეთქვის ხმა,
ქალს წარსულის მოგონება შვენის,
იქნებ გსურდა ჩემთვის რამის თქმა?!...

გაზაფხულზე მომიტანდი ტიტებს,
მეღიმება - რა ფიქრებში გხვევ,
გამითბობდი, შენს ნაფერებ თითებს,
გწერ და ფურცელს ნაკუწებად ვხევ...

ეთო გორგილაძე

* * *

არასოდეს თქვა “არასდროს”,
არ იცი ხვალ,ზეგ რა ხდება.
რაც ადრე სხვაზე გიკვირდა,
ხვალ შენსა ჭირად გახდება.

სასოწარკვეთა რთულია,
ჭკუა,გონება გელლება,
ნებისმიერი მოკვდავი
ცდუნებას მაინც ეძლევა.

ნუ განიკითხავთ ნურავის,
და არც თქვენ განიკითხებით,
სხვის ცხოვრებაში ცხვირს ნუ ყოფთ,
ნუ შეაწუხებთ კითხვებით.

ყველას აქვს თავის ცხოვრება,
უფლება იყოს”უჩარჩოდ”,
მართლაც წუთია სოფელი,
გვირაბსაც ბოლო უჩანსო.

თავისუფლებით იხარონ,
და დრო ატარონ სანამ ვართ,
ამ წუთისოფლის ხანაში,
ჩვენ ყველა მიწის ლუკმა ვართ.

ზურაბ მამულაშვილი

კითხვა – პასუხი

დედა, დედა. დედიკო,
ვინ დამარქვა სახელი,
თავი ვინ გამომაბა,
ან – ფეხი და ან – ხელი?

როგორ ვხედავ ყველაფერს
ამ გახელილ თვალებით?
ამ ოთახს ვინ შეაბა
ეს ლამაზი კარები?

ჩემ დას ვინ შეუკერა
ჭრელა-ჭრელა კაბები?
წიგნად ვინ გამოუშვა
ლექსები და ზღაპრები?

რატომ ტკივა ბებიკოს
ხან თავი, ხან სახსრები?
ვინ დაარსა ეს ზღვები,
ქუცები და სახლები?

გუშინდელი ამინდი
რატომ დღესაც არ იყო?
დედავ, ეს ყველაფერი
მინდა დღესვე გავიგო!

შვილო, დღეს ვერ აგიხსნი,
თუნდ ზარმაცი მიწოდო,
რომ გაიგო მაგისთვის,
დიდხანს უნდა იცოცხლო!

ლექსები, რომლებიც „სულ გულის მონაწურია“

თემურ ცერცვაძე

„პაემანი ქარებთან“

ღამის თვალებში ვარსკვლავების სევდა ციმციმებს,
სევდის ბაღებში სიყვარულის ცლიან ფიალებს,
მოფრინავს ქარი და მავიწყებს წლების სიმძიმეს,
მერე ცეკვაში ჩვენთან ერთად ჭერიც ტრიალებს.
ვერ გადაარჩენ ერთგულებას სულის ტყვეობით,
გაქურდულ ყანებს არ უყურებს ზედაც მეყანე,
როგორ ვერ მივხვდი - უფრო მაგრად შემოგხვეოდი
და ფანჯრებიდან საწოლისკენ გადამეყვანე.
ვერც ქარი ხვდება, როგორ ურევს გზა-კვალს შორეთი,
თორემ რომ ქონდეს მოთმინება - თუნდაც მცირედი,
ერთ დაუვიწყარ მოგონებას გავაყოლებდი,
შენ კი სიჩუმის დერეფნიდან გამაცილებდი.
ამეღამ ბაღის ყველა ხილი დაიკოცნება,
ატეხილია გასალეწად შენი ყანები,
მე აქ ვარ, შენს წინ - ახდენილი შენი ოცნება,
შენ კი სიცრუის მოლანდებებს ეთაყვანები.
მე აქ ვარ, შენი წამლეკავი წყურვილით სავსე,
ჩვენს შორის დარჩეს, როგორ კარგავს ჭკუას ქარები,
ყველა ვარსკვლავი მიყოლებით ჩაქრება ცაზე,
თუ დავიჯერე, რომ ოდესმე არ გეყვარები.
ნუ ეძებ სხვა გზას, სიყვარულის ღმერთზე ილოცე,
სხვა ვერ იქნება შენი შემწე, შენი გამგები,
ისე ბევრი ხარ - მეყოფოდი ათი სიცოცხლე,
ერთ სიცოცხლეში რანაერად დამეკარგები?!
აკრძალულ ხილს თუ მოვიპარავთ, გაიგებს ვინ რას?!
ცა სულს მიბერავს და ცეცხლივით ოდნავ ვმშვიდდები,
როგორ მინდოდა, შეგხვედროდი უფსკრულის პირას
და მერე ერთად გადაგვევლო ბეწვის ხიდები.
შენთან ვარ ახლა და წუთები თაფლივით წვეთავს,
რომ არ მომესწრო - მოღალატე ქარებს მისდევდი...
საკმარისია, გხედავდე და ვეღარ ვცნობ ჩემს თავს,
მაშინვე ვხდები, შენ რომ გინდა - ზუსტად ისეთი.
ძალიან მალე მოიტაცებს მთვარესაც ქარი,
სამყაროს სიზმრებს თითქოს ჯადო გაუკეთესო;
ღამე, რომელიც ჩვენზე დარდით იქნება მკვდარი,
გაგვახსენდება, როგორც წუთი - საუკეთესო.
როგორმე უნდა მივიტანოთ სული დილამდე,
ვწუროთ ღრუბლები - სახიფათო გზებზე წანწალით...
კარგახანია, ჩვენი ბედი წვიმებს მივანდეთ
და გულის ხანძარს ამიტომაც გამოვასწარით.



მადონა კისკეიძე-ქორიძე

***

დღეს კვლავ ზარი გააბრუებს არე-მარეს,
სკოლის ეზო აივსება სიხარულით,
უფალსა ვსთხოვ დასაწყისი ყოფილიყოს,
ეს დღე თქვენი სიკეთის და სიყვარულის.
რთული დრო გაქვთ, ყველაფერი აირია,
თავდაყირა დატრიალდა სამყარო,
აწი მხოლოდ ბედნიერებს გევლოთ ქვეყნად,
დარდი, სევდა უფალსა ვსთხოვ გაკმაროთ.
დაგელოცოთ ის პირველი ნაბიჯები,
ვინც პირველმა შეაბიჯეთ სკოლაში,
წარმატებით გევლოთ მთელი ცხოვრება,
მომავალში ბიზნესში და შრომაში.
არასოდეს არ გენახოთ გასაჭირი,
ბედნიერებს სულ ღრუბლებში გეფრინოთ,
სადაც ფეხი გადაგედგთ ბეღურებო,
გზად ვარდების ხალიჩები გეფინოთ !
გლოცავთ გულით უფროსებო, უმცროსებო,
გაჭირვება არასოდეს გენახოთ,
თქვენი კარგი კაცობით და ქალობით,
წარმატებულ სამშობლოში გელაღოთ!



ნინო ფრუიძე

ცოდნის წყარო!

დედაენით მაქვს ხელი ნაბანი,
ცოდნის წყაროზე ვავსე ფიალა,
ნაჩუქურთმები თითო ანბანი
ჩემს მამულთან მხდის თანაზიარად.

წვეთავს ქართული სისხლი ვენიდან
და ვერ ვიშუშებ მაჯას გადახსნილს,
ენის სიწმინდე აბჯრად შვენის და
კაშკაშებს ჩემი ერი ბადახში.

მინდა შევეხო ზეცას ხელებით,
ცოდნის მწვერვალზე ვარსკვლავი ვთვალო,
ამ ჯვრის ზიდვაში შემეშველები
გზას გამიკვალავ მჯერა უფალო!

სერაფიმა სალმასო

ახლა ისევ მოასკდება სანაპიროს
ვნებიანი, ასო ბგერის წყობა,
აზვირთებულ ტალღებს მოაპობდა
ქალის ჩრდილის, სევდიანი თხოვნა.
იყო ბევრი საალერსო სიტყვა,
უჯერებდა ყოველ გულის ფეთქვას,
უსასრულოდ გაგრძელება ერქვა
გრძნობას რასაც ეს სამყარო მოჰყვა.
თითქოს მაინც შეჰპარვოდა ეჭვი
ვერ მიენდო რასაც გული სთხოვდა,
დაჯერება გაუჭირდა ბედის,
ბედი რომლის ამაობას გრძნობდა.
აზვირთებულ ტალღებს მოაპობდა
უსასრულო ფიქრთან ბრძოლა ჰქონდა,
გადაცურა ყველა ზღვა და ფიქრი,
ნაპირს იგრძნო, გული ღალატობდა.

დათო ბოდბისხეველი

იმ მინას ვკოცნი

შენ საქართველოს ყოველი კუთხე,
სულ სიყვარულით შემოგივლია,
შენ ქართველობის მაგალითი ხარ,
იმ მინას ვკოცნი,შენ რომ გივლია.

აი, ესა ვართ,ჩვენ ქართველები,
კარგისთვის რატომ ვერ მოგვივლია,
დაიბადება მრავალი მაგრამ,
ფიქრობს!ფიქრობდა როგორც ილია.

დღესაც ბევრი გვყვავს საქართველოში,
მტერი შორიდან,ახლოც გვივლიან,
მკვდარს ავაღმერთებთ, ცრემლით
ვასველებთ,
ცოცხლებისთვის კი ვერ მოგვივლია,

წიწამურის ის სველი ვარდები,
დღეს მთაწმინდაზე ისევ გივლიან,
შენ ქართველობის მაგალითი ხარ,
იმ მინას ვკოცნი შენ რომ გივლია,

გელა ალანია

* * *

ცისკრის მკრთალმა ნათებამ ამიშალა ფიქრები,
სადაც არ უნდა ვიყო, არასდროს დაგცილდები.

სულაც არ დამაბრკოლებს შორი გზა და ხიდები,
ტკივილებსაც დავითმენ, თუკი მომიფრთხილდები.

ნეტავ რატომ მგონია, სულ გოგონა ვიქნები,
ყველა ფერი მიხდება, როცა შენთვის ვირთვები.

ნუთუ ვეღარ იგრძენი სიყვარულის ნიავი,
როგორ გაგვიადვილა ქვეყნის ორომტრიალი.

ზეცას შემოურკალავს ცისარტყელას ფერები,
სულ მზეებად მატყვია შენი მონაფერები.

წამლეკავი გამხდარა თბილი მზერა, სიტყვები,
არაფერს არ გიმალავ, სულ ყველაფერს გიყვები..

სიყალბეს გავურბივარ, არ მიცვლია ნიღბები,
შენს სახელს დავიფიცებ, მანამ არ დავიღლები.

სანამ მიდი-მოდიან მწვერვალებზე ნისლები,
დამერწმუნე, ძვირფასო, ჩემს გულს არ შესცივდები.

ნაპირს შემოსჩვევია ტკბილხმოვანი ჩიტები,
კვლავაც შენკენ მოვცურავ, კვლავ შენს აჩრდილს მივყვები...

(გაზაფხულის მაცნეა ყვითელგულა მზეწვია,
ფანჯარასთან მიგალობს: სიყვარული მეწვია!)

ნეტავ რატომ მგონია, ახლა ვიწყებ სიცოცხლეს,
სიკვდილს არ ვემეტები და თავიდან მიშორებს.

ზეცას შემოურკალავს ცისარტყელას ფერები,
სულ მზეებად მატყვია შენი მონაფერები.



ჯუბა ღეგელი

პოეტი

დალევდა კაცი ახლა ერთ ჭიქას,
გააბოლებდა ერთ ღერ პაპიროსს
და ხავსმოდებულ სახლის ჭერიდან,
თვალს შეავლებდა ცას უნაპიროს!..

მაგრამ სხვა არის გული პოეტის,
სისხლი რომ ღვარად მოედინება,
ქვეყნად ყველაზე უმარტოვესი,
ქვეყნად ყველაზე სათნო ქმნილება!..

მაგრამ პოეტი არის მხილებაც,
ხორცს ისერავს თუ წყლულებს იხორცებს,
პოეტი არის ჯანყიც, ღირსებაც,
არის სიკვდილიც, არის სიცოცხლეც!..

ისე აჩნია მის სულს იარა,
ვით ძველი სახლის კედლებს ბზარები,
დიახ, პოეტებს როცა გვიყვარდა,
მთელ დედამიწას ვაზანზარებდით!..

დალევდა რამეს ახლა კაცი და
გააბოლებდა მწარე ყალიონს,
გადახტებოდა მთვრალი სარკმლიდან,
შეერთვებოდა სხვაგვარ ალიონს!..

115-ე ბაგა-ბაღში საზეიმო განწყობაა

პატარებს საახალწლო საჩუქრებს დაურიგებენ

საახალწლოდ მორთულ-მოკაზმულია დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი საბავშვო დაწესებულება - 115-ე ბაგა-ბაღი, სადაც შესვლისთანავე იგრძნობა სადღესასწაულო განწყობა. ბაღის ინტერიერი და დარბაზი დამშვენებულია ლამაზად მორთული ნაძვის ხეებით, ბრჭყვიალა სათამაშოებით, აღსაზრდელებისა და პედაგოგების ერთობლივად შექმნილი ხელნაკეთი აქსესუარებით. ბაგა-ბაღების სააგენტოს ძალისხმევით კი, ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს და ტკბილეულს დაურიგებენ.

მერი ჭარელიშვილი, 115-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: პანდემიის მიუხედავად, იმედით შევყურებთ

ახალ წელს. პატარებს ვუქმნით საზეიმო განწყობას და არ ვაკლებთ მზრუნველობას. ჩვენთან სულ 17 სააღმზრდელო ჯგუფი და 664 აღსაზრდელია. განახლებულ სასწავლო -აღმზრელობით პროცესს, პანდემიის პირობების გათვალისწინებით, მომზადებულები შევხდით. ბაგა-ბაღის გახსნას კი, წინ უძღოდა შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება - დეზინფექცია. ჯგუფები აღიჭურვა სპეციალური ხსნარებით, დეზობარიერებით და ანტისეპტიკური საშუალებებით. კოვიდ ინფექციის თავიდან აცილების მიზნით, ბაგა-ბაღის თითოეულ თანამშრომელს, ორ კვირაში ერთხელ უტარდება ტესტირება, თუმცა, 80 პროცენტი სრულად აცრილია. დღის განმავლობაში, 2 საათში ერთხელ იწმინდება იატაკები, მაგიდის ზედაპირები, ირეცხება სათამაშოები, დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების პირადი ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვას. ასევე მშობლებთან ონლაინ დავადგინეთ ალერგიულები არიან თუ არა მათი შვილები,რომ გამოყენებული ხსნარის მიმართ. ბაგა-ბაღში თითოეული ჯგუფის შემოსვლა ხორციელდება სხვადასხვა დროს. ყოველ დილით აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს თერმოსქრინინგს უტარებენ, საბავშვო ბაგა-ბაღის ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები: **დოდო კვირაია, ნათელა მთავარაშვილი** და **სოფიკო ხევიაშვილი**, დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ ბაგა-ბაღების სააგენტოს მხრიდან, ძალიან დასაფასებელია ბატონ **კახაბერ გვანცელაძის** და ჩვენი ქალაქის მერის ბატონ **კახაბერ კალაძის** ყურადღება და ღვაწლი საბავშვო ბაგა-ბაღების მიმართ, ჩვენი კოლექტივის სახელით დიდ მადლობას ვუხდით მათ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პატარების აღზრდა განვითარებისთვის 155-ე ბაგა-ბაღში უსაფრთხო გარემოა შექმნილი. ბაგა-ბაღის მენეჯერის ხელმძღვანელობით შეიცვალა სააღმზრდელო გარემო, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, განახლდა ავეჯი და აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით. ბაღს სათავეში უდგას დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერი **მერი ჭარელიშვილი**, რომელიც მრავალი თაობის აღმზრდელია და არაერთ ახალგაზრდა კოლეგას გაუკვალა გზა. ქალბატონი მერი მუდამ ინოვაციების ძიებაშია და არ უშინდება სიახლეებს. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სკოლამდელი აღზრდის სისტემაში და დადებითად აფასებს ბაღის კოლექტივი.

ბაგა-ბაღში, რომ მშვიდი და კეთილ საიმედო გარემოა, ეს რა თქმა უნდა კარგი მენეჯერის დამსახურებაა. დირექტორს მხარში უდგანან მოადგილე **ქეთევან ბუჩაშვილი,** სერთიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები: **ნინო ხოსიტაშვილი, მაკა გვიჩიანი** და **თეონა ტატულიშვილი**. აღმზრდელები: **ხ. მირინაშვილი, ნ. ყიფშიძე, მ. მშვენიერიძე, შ. მესხიშვილი, ი. ჩიხლაძე, ნ. ეჯიბაძე, ლ. გურულიშვილი, ლ. ქუფარაშვილი, ი. სიორდია, მ. გამეზარდაშვილი, მ. ტაბატაძე, თ. მარხვაშვილი, ი. პავლიაშვილი, თ. ღაღანიძე, ბ. გალუსტოვა, ე. შიხიაშვილი, თ. ლომჯარია, ლ. ბობოხიძე, ნ. ბეგოიძე, ს. ბურძენიძე, მ. შანიძე.** მათი თანაშემწეები: **ნ. ჯინჭარაძე, თ. ლომსაძე, თ. ქურთიაშვილი, ნ. საბაშვილი, ქ. ბოგვერაძე, მ. მაჭარაშვილი, ლ. ქარქაშაძე, ნ. პატიაშვილი, ნ. ბუხნიკაშვილი, ს. გოცირიძე, ლ. ჩიბურდანიძე, ლ. მუმლაძე, მ. ვეშაპური, თ. ლორია, შ. ჩომახაშვილი, ც. ხუტაშვილი, ი. იარალიშვილი, მ. სეფიაშვილი, ი. ღურწკაია, მ.მაჩიტაძე, ვ. იბრაგიმოვი, თ. ყარყარაშვილი, ნ. თოიძე, ლ. ჩიბურდანიძე, ე. დელიბაშვილი, მ.გულედანი, ნ. გოგია, მ. წიქარიშვილი**

ბაგა-ბაღში წარმარტებით ფუნქციონირებს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, აქტიურად მუშაობს მულტიდისციპლინარული ჯგუფი. აქ სულ 30 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელია, არიან სოციალურად დაუცველთა ოჯახებიდანაც პროფესიონალთა გუნდის წყალობით, პატარებს უტარდებათ ყველა საჭირო დიდაქტიკური თუ სხვა შემეცნებითი სახის მეცადინეობები. აღსაზრდელებზე ასევე, ზრუნავენ სერთიფიცირებული ფსიქოლოგები **ლია ხიდეშელი** და **ნინო გურჩიანი**, ლოგოპედები: **ეკატერინე**

შიხიაშვილი და **თათია კანთელაშვილი**. სპე.პედაგოგები **ლ. გარსევანისვილი, თ. მინდიაშვილი, ა. გაზდელიანის, ს. სიყმაშვილი** ასევე დასაფასებელია საქმის მწარმოებლები: **მანია კედელაშვილი** და **ლალი მაღლაფერიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ეკატერინე ნოძაძის** მშრომა. პატარების კვებაზე კი სესანიშნავად ზრუნავენ მზარეული **დოდო ვაჭრიშვილი** და თანაშემწეები – **მ. მოისწრაფეშვილი, თ. წითლაური, ხ. დათაშვილი.** პატარების შემოქმედებითი ღონისძიებების გამართვაზე ზრუნავენ მუსიკის პედაგოგები **თინათინ ბუცხრიკიძე, ნინო ალენიკოვი** და **სოფიკო ჯავახიშვილი,** ქართული ცეკვების პედაგოგი **კახაბერ ბარბაქაძე**. ბაღის საქმიანობაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს, ესენია: **ზაურ ალთუნიშვილი, ვაჟა ბასილაშვილი და მორის როსტიაშვილი**

115-ე საბავშვო ბაგა-ბაღის პედ.კოლექტივის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება ძალიან მოთხოვნადი და პოპულარულია. პანდემიის მიუხედავად, აქ მაინც საზეიმო განწყობა სუფევს და პატარებს სიხარულით ეგებებიან.

ანანო სამელია

ნეკროლოგი

თორღვა – კაი ყმა

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, მწერალთა კავშირს და სრულიად საქართველოს დიდი ადამიანისა და პოეტის, **თორღვა (ოთარ) ანატორელ-თიღილაურის** გარდაცვალების გამო, წავიდა ჩვენგან დიდებული, კეთილშობილი ადამიანი, შესანიშნავი ქართველი და პოეტი, კაცი, რომელიც უმღეროდა ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს, საოცრად კეთილი და მოსიყვარულე გულით, მშვიდობით,კარგო მეგობარო!

მისივე ერთ-ერთი ბოლო ლექსით ვემშვიდობებით ღირსეულ პიროვნებას...

ვაინარჩობით ვატარე

ვაინარჩობით ვატარე,
ნაბოძი წუთისოფელი,
დღესნამდე ვერ გავახარე,
გული, დარდებში მყოფელი.,.

დრო მიდის, ჟამი მწარდება,
კარგსა არსითა მოველი,
ტკივილი არ მიქარვდება,
ფეხზე მდგომარის მომცელი.

ვმაგრობ, იმედსა არ ვკარგავ,
არ ვარ საწუთროს მგმობელი,
ჭირსმყოფი მაინც ლექს ვქარგავ,
ხევსური, ანატორელი.

მჯერა, ჩემთვისაც ამოვა,
მზე, სამყაროსი მნათელი,
ზენიდან მადლი გადმოვა,
ჩემი, კაადა გამხდელი.

მემრ აღარ დავიწუწუნებ,
მეტ არ მექნება სათქმელი,
ლექს, მღერით დავაგუგუნებ,
ერთი რიგითი ქართველი

თორღვა ანატორელი

15.11.21ნ.

მოვუსმინოთ პროფესიონალებს

ასე უკეთესი კადრები მომზადდება

პროფესიული განათლების განვითარება და მაღალი დონის პროფესიული სპეციალისტების მომზადება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებასა და ამ მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და მასთან თავსებადობა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი, ინოვაციური მიდგომების ფორმების შეთავაზებას (ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით), მოითხოვს, ხოლო პროფესიული განათლების მორგება შრომის ბაზარზე არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან და პირის მომზადება დასაქმებისა და საშეწარმეო საქმიანობისათვის, დიდ ვალდებულებებს აკისრებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებს/ კოლეჯებს, რადგან მათ კონკურენტუნარიანი, მაღალი დონის პროფესიული სპეციალისტები უნდა მოამზადონ.

პროფესიული განათლება ბუნებით დუალურია (ორმაგი). სტუდენტი, თეორიულ მომზადებასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენს. პროფესიული სტუდენტი ორ ადგილას სწავლობს: პროფესიულ სასწავლებელში ის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას ეუფლება, ხოლო საწარმოში/ კომპანიაში ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკულად ეუფლება პროფესიას.

რადგან საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით სრულყოფილად განვითარებული არ არის და საწარმოების/კომპანიების სიმცირეა, ხშირია შემთხვევა, როცა პრაქტიკის გავლის შესაბამისი ადგილების შერჩევა გაძნელებულია, ან საწარმო/ კომპანია უარს აცხადებს პროფესიული სტუდენტის თავისთან პრაქტიკის გავლაზე.

ასევე, შესაძლებელია, ზოგიერთი სპეციალობის საწარმო ამჟამად საქართველოში არ იყოს და მისი მომავალში დაფუძნება იყოს დაგეგმილი. ასეთ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდით პრაქტიკული სწავლების ჩატარება შეუძლებელი იქნება, ამიტომ რეალური სამუშაო გარემოს ნაცვლად აუცილებელია პროფესიულმა სტუდენტებმა პრაქტიკული კომპონენტის შესწავლა გაიარონ სხვა გარემოში, ისე, როგორც ჯარისკაცი ბრძოლის წესების შესწავლისათვის ომში არ იგზავნება, არამედ მას პოლიგონზე უტარებენ ტრეინინგებს საბრძოლო წესების შესწავლისათვის.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის - „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ პუნქტი 2. მიუთითებს: „ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შეესაძლებელია პრაქტიკით ან სტაჟირებით, აგრეთვე **სასწავლო საწარმოში** სწავლისას.“ ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის – „ტერმინთა განმარტება“ შ) პუნქტში განმარტებულია: სასწავლო საწარმო – პი-რი, რომელმაც მოიპოვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიმაჩნია, რომ უნდა განვითარდეს პროფესიული სასწავლო საწამოები.

სასწავლო საწარმო შეიძლება იყოს ცალკე დაფუძნებული იურიდიული პირი, ან პროფესიულ სასწავლებელთან. იგი შეიძლება ერთი ან რამდენიმე სპეციალობის პრაქტიკული ტრენირების სივრცე იყოს: სასწავლო საწარმო უნ-და შეიცავდეს სასწავლო სახელოსნოებს, სასწავლო ლაბორატორიას, სავარჯიშო ადგილებს, სასწავლო პოლიგონს, სიმულაციურ მოწყობილობებს და სხვა იმიტირებულ გარემოს.

სასწავლო საწარმოში პრაქტიკულ სწავლებას განახორციელებს პროფესიული ტრენერი, რომელსაც აუცილებლობისას დახმარებას გაუწევენ კოლეგები და სპეციალისტები. პროფესიულ საწარმში პროფესიული სტუდენტი ეუფლება პროფესიას ავთენტურ სამუშაო გარემოში და სწავლობს პრაქტიკული კომპლექსური ამოცანების შესრულებას.

იურიდიული პირი პროფესიული განათლების სასწავლო საწარმო შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ/ მონაწილეობით დაფუძნებული და კერძო სამართლის იურიდიული პირი.

სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული განათლების სასწავლო საწარმო უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს დაფინანსებით, კერძო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული განათლების სასწავლო საწარმო კი კერძო შემოსავლებით, პროფესიულ სასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებითა და, კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა საქმიანობის ანაზღაურებით დაფინანსდება.

სასწავლო საწარმო შეიძლება დაფუძნდეს ტერიტორიული ან დარგობრივი მიზანშეწონილობის მიხედვით.

ერთმა სასწავლო საწარმომ შეიძლება მომსახურება გაუწიოს რამდენიმე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რაც განტვირთავს კოლეჯების იმფრასტრუქტურას და ხელს შეუწყოფს ხარისხიანი პრაქტიკული კოპონენტის რეალიზებას.

მინდა აღვნიშნო, რომ მაღალი დონის სპეციალისტის მომზადებისათვის, საგანმანათლებლო სტანდარტის ამაღლებასთან ერთად, აუცილებელია პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს/კოლეჯებს შორის თავისუფალი საკონკურენციო პირობების შექმნა, რათა მათ პრიორიტეტული პირობები ჰქონდეთ შეჯიბრითობის პრინციპით თავისი დონის ასამაღლებლად, რითაც მიიზიდავენ აპლიკატებს პროფესიული განათლების მისაღებად.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული მენტალიტეტის გამო, პროფესიული განათლება მაღალი ავტორიტეტით არ სარგებლობს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, აპლიკატთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე უნდა ხორციელდებოდეს დაბალი შეზღუდვებით, ლიბერალური მეთოდების გამოყენებით ხორციელდებოდეს, ასევე, კარგი იქნება, თუ პროფესიულ სტუდენტებს და კოლეჯების კურსდამთავრებულებს მიეცემათ სხვადასხვა წამახალისებელი შეღავათი.

პროფესიული განათლების განვითარებისათვის კარგი შედეგი მოგვცა კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ვაუჩერულმა დაფინანსებამ, მაგრამ, რადგან, კანონის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა პროფესიული სტუდენტი ფინანსდება, ხოლო კერძო სამართლის იურიდიულ პირ – საგანმანათლებლო დაწესებულებაში, - სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად, ამის გამო, კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, კონკურენციის პირობებით ვერ სარგებლებენ, რის გამოც, გათვალისწინებულ ზოგიერთ ჯგუფს ვერ აკომპლექტებენ და სპეციალისტების მომზადების გეგმას სრულყოფილად ვერ ასრულებენ. კარგი იქნება, თუ მომავალში, ყველა სახის სასწავლო დაწესებულებისა და ყველა სპეციალობის პროფესიული სტუდენტი მიიღებს ვაუჩერულ დაფინანსებას.

ანზორ მაჭარაშვილი,

პროფესიული განათლების ვეტერანი

წკიპურტ-წიწაკები

ბიუროკრატიზმი დღევანდელი გაგებით

მკითხველო, მოდით, ერთად ვიმსჯელოთ! წკიპურტი გვაღვიძებს, წიწაკა წამოგვახტუნებს. ალბათ გახსოვთ ასი წლის წინანდელი შეშფოთება მაიაკოვსკისა: „მე მგელივით დავხრავდი ბიუროკრატიზმს!“ თურმე მაშინაც ყოფილა ფორმალიზმი, მლიქვნელობა, მატყუარობა...

ერთი ეპიზოდი წარსულიდან: განათლების მინისტრმა **გურამ ენუქიძემ** ჟურნალისტები კოლეგიაზე დაგვიბარა. შუა საუბრისას მინისტრის მრჩეველმა კარი შემოაღო: სვანეთიდან პედაგოგები ჩამოვიდნენ, თქვენთან შეხვედრას ითხოვენო. მინისტრმა ბოდიში მოგვიხადა, ამ თოვლ-ჭყაპში ჩამოსულებს ხომ ვერ ვალოდინებთ, დღესვე აპირებენ დაბრუნებასო. დერეფანში გავილალეთ.

იმ „ავადსახსენებელ“ დროს გამოყოფილი იყო მშრომელთა მიღების დღე და საათები. ქვეყნის პირველი პირიც კი მიგიღებდა.

დღეს კი? შაშკინის ზეობის ხანა ერთ პრესტიჟულ სკოლაზე პოზიტიური სტატიის გაკეთება მინდოდა. მაშინ და ახლაც ხელმძღვანელთა მობილური ტელეფონის ნომერს ვინ გაღირსებს. კანცელარიაში დავრეკე, – კაბინეტში არ არისო. ნახევარი საათის მერე შევეხმიანე, – თათბირზეაო. ერთი საათის შემდეგ, – შეხვედრაზეა წასულიო, კიდევ – არ არისო. მივხვდი, მატყუებდნენ. აკრძალული აქვთ „უცხო პირს“ მობილური მისცენ. არადა, საქმეთა მმართველი გამომძიებელივით გამოგკითხავს: „ვინ ხარ, სიდან მოსულხარ“. შეგატყობს, სანდო პირი ხარ, შეგახვედრებს დირექტორს. იქ მომუშავე ნაცნობ პედაგოგს შევეხმიანე – აქ არის, არსად წასულაო. ისიც გავიგე, რომ შაშკინი ჟურნალისტებს ემტერებოდა, სამინისტროს ნებართვის გარეშე მანდატური სკოლის დერეფანშიც არ შეგასუნინებდა.

დღეს? დღეს ცოტა შერბილებული ვითარებაა, ე. წ. „მიღების საათები“ პირველ პირებთან კი არა, მის მოადგილეებთანაც არ არის. კანცელარიაში დატოვე წერილი? მოხელე იქვე „გაჩითავს“, იქნებ არც ჩაიბაროს, თუ ჩაიბარა, პასუხს მიიღებო. კოლეგამ ღიმილით მითხრა: ყველა შემთხვევაში მიიღებ პასუხს, თუ არ მიიღებ, ისიც პასუხია, არას ნიშნავსო. უარის თქმასაც ხომ ტაქტი უნდა? სრული დუმილი პიროვნების აბუჩად აგდებაა.

მეც მგელივით დავხრავდი ბიუროკრატიზმს.

მოსე მწერალი

საახალწლო მოწოდება

მშვიდობა იყოს, კონფლიქტები ცუდ კვალს დაგვამჩნევს,
სიკეთე ვთესოთ, წინ დაგვხვდება რასაც ჩავიდენთ,
კარგ ნამოქმედარს ხალხის თვალი ყოველთვის ამჩნევს.
იყო ამბოხი, და არ გვაკლდა ურთიერთბრძოლა.
დაუნდობლობა, ორპირობა, მრავალი ცოდვა,
დასანანია, ერთმანეთთან ისევ გვაქვს წყენა,
არის მუქარა, ღალატი და უაზრო შფოთვა.
უნდა ვეცადოთ გარდავიქმნათ დროის მოთხოვნით,
რწმენით ვიცხოვროთ, ღმერთს ესმოდეს ჩვენი ვედრება,
ერთსულოვნებით დავირაზმოთ, გავერთიანდეთ,
ცალ-ცალკე დგომას ერთობით სჯობს ქვეყნის შენება.
რომ საქართველომ გაიბრწყინოს, გახდეს ძლიერი,
მან უნდა შეძლოს მოიპოვოს სტაბილურობა.
მუდამ ვისწრაფოთ ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთნოდეს,
და მსოფლიოში დავიმკვიდროთ კეთილგანწყობა.
დემოკრატია დავამკვიდროთ მთელ ქვეყანაში,
ცოდნა მივიღოთ, ახლებური დავნერგოთ სწავლა,
ვიაქტიუროთ, გავისარჯოთ შევიგრძნოთ დაღლა,
გავძლიერდეთ რომ შეგვეძლოს სიმაღლის ავლა.
რადგან სამშობლო ბრძოლაში და განსაცდელშია,
უნდა დავიცვათ მთელი გულით, თავგამოდებით,
ღმერთმა ინებოს, გვეზეიმოს გამთლიანება,
გვერდჩამოჭრილი წინ ვერ წავალთ, არ გამოვდგებით.

ანზორ მაჭარაშვილი

ლიტერატურული გვერდი

ლექსები, რომლებიც „სულ გულის მონაწურია“

კახა გორგაძე

„ლექსის აკვანი“

ნეტარებაა, როცა აკვანში
ისმის ჰანგები,ტკბილად ნამღერი,
როცა ტკბილ ხმაში, დედის ნანაში
იგრძნობა სხივი და მზის ნათელი.

ნეტარებაა,ქარებს უებარს
რომ გრძნობ სულში და ცა მუზით გავსებს,
როცა აკვანში სიო დაჰბერავს
ჩვილს ეს სილაღით,სიცოცხლით ავსებს.

დიდი განცდაა როცა გრძნობ ფერებს,
იდუმალ ენებს ქარით ნაამბობს
და ეფერები იმ ლამაზ ბგერებს
დედის ნამღერით, შენ სულს რომ ათბობს.

ნეტარებაა ციურ სავალში
ქარი რითმთა ზღვას სულში რომ არხევს,
მე გავიზარდე ლექსის აკვანში,
სადაც ჩვილივით ვგრძნობ დედის ალერსს..

მასწავლის ანბანს,მგოსანთა ანბანს
ქარი,მზის სხივებს აკვანს რომ აფენს,
მჯერა,მუზა კვლავ დამირწევს აკვანს
და შთამაგონებს გედების ნამღერს.

ჰოი, რა ხმაა, რა ტკბილი ხმაა
ეს ხმა ხომ სულის იარებს ამსხრევს,
ვგრძნობ ციურ ამბორს და ტანში მზარავს
დაჰქრის სიო და მიმჟღავნებს სათქმელს.

„ვუძღვნი ტერენტის“

ციდან დაეშვნენ ხმელი ფოთლები
და შემოდგომის შევსვი ფიალა,
ვიცი,სულ მალე მეც დავობლდები
ვიგრძნობ ცივ ავდრებს და ძველ იარას.

და უცაბედად გამოჩნდნენ ფრთები
კვლავ გამაღვიძა ფრთათა შრიალმა,
მეც ფოთოლივით მინას დავეცი,
შორს წარმიტაცა ქარმა, ნიავმა.

ისევ გაწვიმდა, ჰქრიან ქარები
გარეთ ფოთლების „ისმის შრიალი“,
მწამს,შემოდგომის ქარს ვეამები
და ვერ გავძღები მისი ტრფიალით.

არ მიმატოვა ჩემს ანგელოზმა
მესალბუნება ცათა ფერებით,
თვით შემოდგომაც მას დაემონა,
ჩანს ლამაზ ფრთებით და ვეფერები.

ეს ია მნათია, ის ანგელოზი
ვის ციაგებსაც ვერ შეველიე,
ხმებია ლამაზ იდუმალ ლოცვის
ვგრძნობ, უცაბედად ტერენტს ვემთხვიე.

„ქარების ხმა„

გადაიკარგა მზის თაიგული
ასე ინება,დიადმა ღმერთმა,
მუზათა ხმებით მეც გავჯიუტდი
და მოვისურვე,ნისლებთან შებმა.

ჰქრიან ფოთლები,შემოდგომაა,
ქარების ხმებმა,ცა მთლად მიქარვა,
თუმცა უეცრად ვიგრძენი ფრთები
გრიგალმა, ვით ყრმა, ხელთ ამიყვანა.

ო, რა სათნოა ქარებთან შებმა
მათ ხან მზის სხივიც ვერ შეედრება,
სულში საამოდ დაჰქრის ნიავი
სიოც გრძნობს ქართან,ნაზად შეხებას.

ასეთი სხივი, ქართა ბროლება
სხვაგან, ცაშიც კი არ იპოვება,
არ იპოვება, არადა არა,
მწამს, არ იქცევა ცა,ლურჯ თოვლებად.

ვერ გავექეცი მუზათა განცდას,
წვიმს და გუბეა, თანაც ტბორებად,
ქარში,წვიმაში მუზა გამძაფრდა
ლურჯი იები, კვლავ იტბორება,

კვლავ იტბორება და ხმელ ფოთლებში
ვიგრძენი ქართა ტკბილი გალობა,
ხელახლა ვიშვი ციურ ქროლვებში
მუზამ გრიგალში იწყო ცხოვრება.

„ათინათი“

ციდან დამყურებს დღის ათინათი
მივხვდი,ეს შენი სულის მნათია,
კვლავ დამირწია მუზამ აკვანი
სულში გრიგალი სხივად ანთია.

გამოისახა ცაზე ანბანი
ვიგრძენი ქროლვა და აპათია,
ზეციურ ამბორს, ზღვებზე განბანილს,
ცის ანაფორა, ზღვის ფრად აცვია.

მამუკა ოჩიაური

ქართველი ქალი

დარწეულა ქარში ხე და
კვლავ იღება ამ დღის კარი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი.

ნიავქარმაც არ იკადრა,
აუჩეჩოს თმა და კაბა
და სიამით დაბანგული,
ორღობეში გაინაბა.

ქალი, ქალი მზისა დარი
„გავაზივით მოქნეული“,
საროსა და ლერწმის ტანი,
თავზე თავშალმოხვეული.

ძუ ვეფხვივით მოსხლეტილა
მტრისასს, სიტყვაც გაუბედო
მასზე ფიქრით სულ არ სძინავს,
მომავალში მის საბედოს.

მოდის, მოაქვს სურნელება
დანამული ტურფა ვარდის,
გული მასზე ფიქრით დნება,
ზვავად მოდის ,კი არ დადის.

დაარწია ქარმა ხე და
უნანავებს ღამე ნათევს,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მზისებრ მოანათებს.

ძუ ვეფხვივით მოსხლეტილი,
არვის ამჩნევს, არვის ხედავს
სიტყვის თქმა და გულსწადილი,
დღემდე ვერვის გაუბედავს.

ხის ტოტებში როგორც სურო
ჩამოწნულა თმები ქარის,
ღმერთმა არ თქვას გაახუნოს,
სილამაზე ქართველ ქალის!

მომევლინა ამ დღის მზედა...
გულს სწვავს ფიქრის ნაღვერდალი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი!

ქალი დაუბერები

არ გეტყობა წელთა კვალი,
ხალისით ცას ევლები,
აი მესმის ქვეყნად ქალი, -
ქალი დაუბერები.

აი მესმის სიხალისე,
სინატიფე სხეულის
დღეთა ყოფას მიხალისებ,
გრძნობად ჩამორხეულის.

და გავცქერი გარდასულთა
იმ დროების ნაპირებს,
გეტყვი გრძნობა არ დასრულდა
მოსვლა თუ დავაპირე.

თუ მთებიდან მონაბერმა
ქარმა თმები დალესა,
იფიქრე რომ ჩემმა ხელმა
შორით მოგიალესა.

ეკარგება უკვე ხიბლი
გასულ წელთა მზებნელებს,
გადაეკრა თვალებს ლიბრი,
შენი ლანდის მძებნელებს.

ისევ გფარავს ეშხის ალი
ხალისით ცას ევლები,
აი, მესმის ქვეყნად ქალი,-
ქალი დაუბერები.

ღამე უშენოდ

ახლა ასას ხეობაში
ღამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
სრულად ვერ დაეტია.

და უნისლო ჭიმღის ქარაფს
მთვარის შუქი ანათებ,
საფიქრალი უხმოდ დამაქვს
მრავალ ღამეგანათევს.

შენი სახე მოჩვენებად,
ბისნის კლდიდან მიმზერის
მერამდენედ მეჩვენება,
ზეცა ტირის ზღვის ფერი.

ეს რამდენი დაღამება
გავატარე ეულად,
ნიავქართა გაქანება,
ვხედავ, შემოლეულა.

დათოვლილა ოქროსფერად,
კლდეთა ზოლი - შიბწვერი
და ვუსწორებ მთვარეს მზერას,
ფრიალოზე მიწვენილს.

სად ხარ, სად ხარ, სანატრელო,
დამწვავს ფიქრი, ვნებანი
ლამის ლექსით გადავთელო,
ტკბილი მოგონებანი.

ახლა ასას ხეობაში
ღამე უფრო მეტია,
ზეთუკაზე ბადრი მთვარე,
სრულად ვერ დაეტია.

ოცნებებით მოგიტაცე

ვით ახალი მთვარე ცაზე,
მემალები კვლავ ღრუბლებში
ოცნებებით მოგიტაცე,
გადაგკარგე ქალავ მთებში.

ბნელს ანათებს განაკვესი
ნაპერწკლები ღამით ნალის,
სადაც არის ჩემი ფესვი,
დაუშლელი ფუძე - კარი.

იქით მიმყავს ეს მერანი
შენც ჩაკრული, როგორც სურო
რას დაგვაკლებს მომდევარი,
„ჩემო გულო“, „ჩემო სულო “.

დღეს მთებია მასპინძელი
მეპატრონე ამა სოფლის,
ამისრულდა რასაც ველი,
დრო დასრულდა მარტო ყოფნის.

მაგრამ, ვაი მხოლოდ ფიქრით
მოგიტაცე ქალი - ალი,
კვლავ უშენოდ დღეებს ვითვლი
არ ჩანს შენი ნატერფალი.

როცა ღამე ვრჩები მარტო
და ენთება მთვარე ცაზე,
ოცნებებით ჩემ თავს ვართობ,
თითქოს მთებში გაგიტაცე .

სულ არ ბერდები

წლები ვერ გჯაბნის,
სულ არ ბერდები
მიხვალ, მოგყვები ჩუმი ოცნებით
შენი მკერდი და შენი კერტები,
ქათქათები და დასაკოცნები.

შენი ტუჩები ალისფერები,
შენი თვალები ზღვათა ტალღები,
მე კვლავ ფიქრებით შენ გეფერები,
შენ კი ქრები და კვლავ მეკარგები.

ალბათ მოატანს დრო გახელების,
რომ მაგ საკინძეს შევხსნა ღილები
მახსოვს ტუჩები ვნებით ცხელები,
ათასი კოცნით გადაღლილები.

მახსოვს ეგ თმები ტევრად გაშლილი,
რომ მიფარავდა თავთან სარეცელს
ორი არსება ცაში აჭრილი,
ცდილობს არასდროს ძირს არ დაეცეს.

და დაბანგული სხეული ორთა
დამსუბუქდება, როგორც ნისლები
შენი სხეულით სარეცელს მორთავ,
უჭკნობ ვარდივით გადაიშლები.

წლები ვერ გჯაბნის,
სულ არ ბერდები
დღემდე მოგყვები ჩუმი ოცნებით,
შენი მკერდი და შენი კერტები
ქათქათები და დასაკოცნები.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრულებელი რედაქტორი: ნათია გურგენიძე 593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; მზია გოგოძე 593 208 048;
ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (ტექნიკური რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N5 (4599)
22 დეკემბერი / 2021 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113